პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 79 კვირა, 19 დეკემბერი 1926 წ. № 79

„კანტონის სახალხო არმია ამარცხებს პეკინის შავრაზმელ ჯარს, რომლის დამარცხება იმპერიალისტების დამარცხებაა".
(გაზეთებიდან)



ჩინური ძეგლი

# ჭკუასთან ახლოს




**— კაცო, შენ აკი დღეს ბათომში აპირებდი გამგზავრებას, და აქ რა გინდა?!**

**— სწორედ ამიტომაც მოვედი აქ... დაზღვეული არ ვარ, და თავი უნდა დავიზღვევო.**

# ა ღ წ ე რ ა

გაზეთის კითხვა რომ კარგი საქმეა, ეს მე დიდი ხანია გაგონილი მქონდა; მაგრამ, რას იზამ, ჩვენებურ კაცს, ხომ მოგეხსენებათ, სანამ თავზე მეხი არ დაეცემა, ცხვირს ვერ მოაწმენდინებ; მეც ისე დამემართა სწორეთ; დავინანე თვეში თოთხმეტი შაურის გაღება გაზეთის გამოსაწერად, შევჯექ პირუკულმა ვირზე და ისე ვერიდებოდი გაზეთის კითხვას, როგორც ინგლისურ ავადმყოფობას; მეგონა, თუ ქვეყნის ვითარებაში ჩვენი მეზობლის—ქვრივი კეკელას—ნაამბობითაც კარგათ გავერკვეოდი და გავიგებდი, თუ რა მოელის გვრემა-წუხილს ჩემბერლენსა და პუანკარეს, როდესაც ცოფს ჰყრიან საბჭოთა კავშირის სახელის გაგონებაზე. მაგრამ ჩემი ორიენტაცია კეკელაძე ისე გაყალბდა, როგორც ოპოზიციის მიერ გაცემული ვექსილები, და გაზეთის სიძულვილმა ისეთ სირცხვილში ჩამაგდო, რომ ჩემიხნის კაცს დღესაც სახეზე ალმური ამდის და რიგიანი ხალხისთვის დღესაც თვალებში ველარ შემიხედნია სირცხვილით,

ახლათ დაღამებული იყო. ის იყო ჩაი გიახელი და ლოგინზე ვაპირებდი წამოწოლას, რომ ვიღაცამ დერეფანის კარები მაგრათ დააბრახუნა. ჩემი ცოლი წამოდგა და კარებისაკენ ბარბაცით წავიდა; მაგრამ საჩქაროდ შევაჩერე:

— დედაკაცო, ემანდ ეგდე, ვინ იცის, ვინ ოხერი აბრახუნებს; კარებს რომ უღებ, ერთიც ვნახოთ, ვინმე ხულიგანია, ხომ შენცა და მეც გაგვგუდავს და, თუ რამ გვაბადია, სულიან ხორციანათ გაგვცლის. მერმე მოდი და იწერე პირჯვარი...

დედაკაცმა გზა მიყო და მეც, ცოტა არ იყოს, შეშინებული, ცოტაც გულგამაგრებული, დაკეტილი კარების წინ ავიტუზე და უცნობს ხმამაღლა მივმართე:

— ვინა ხარ?

— რეგისტრატორი!

ტანში-ჟრუანტელმა გამიერა და სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა; საქმე იმაშია, რომ ამ ათი-ხუთმეტი წლის წინათ ჩემს მეზობლათ ცხოვრობდა ერთი რეგისტრატორი, სინოდალნი კანტორის ჩინოვნიკი,—ასე უძახოდა თავისთავს,—თუმცა მის მხრებზე მე არასოდეს ჩინი არ მინახავს, გარდა ერთი გახვრეტილი კაკარდისა, რომელსაც ყოველ ცისმარე დღეს აგურით ხეხდა და აპრიალებდა; სულ რაღაც თორმეტ მანეთს იღებდა თვიურად, ერთი ამდენიც პრაშენიების დაწერით შემოსდიოდა; მაგრამ თავი ისე მოჰქონდა, გეგონებოდა—ღენერალი ლინევიჩი არისო; მთელი მეზობლობა აკლებული ჰყავდა გინებით, მეტადრე, როდესაც ჯამაგირის მიღების შემდეგ სადმე გამოთვრებოდა; ღვთის წყალობა—ღვთის რისხვათ მიაჩნდა და თუ ვინმეს აუხირდებოდა, მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ უჩასტკაში არ ამოაყოფინედა თავს; დაუსტვენდა სკისტოკს, შეჰყრიდა გარადავოებს, დვორნიკებს და კინწის კვრით გაიგდებდა წინ.

უჩასტკაში კიდევ დაიწყებდა: ღმერთსა და ხელმწიფეს აგინებს, მე, როგორც მთავრობის ერთგული კაცი, ამას ვერ ვითმენ და უთუოდ ზარეშოტკაში ჩააგდეთო.

მე ვიცი, არ დაუჯერებდენ! ბევრიც რომ გემართლებია თავი, ვინ იყო გამგონი! მეც ბევრჯე ამიტეხა ხლაფორთი იმ სულძაღლებულმა და იმდენი ჰქნა, რომ ერთხელ ძლიერ მომაბეგვინა თავი.

მახლას, რაც იყო, იყო; ჩამოაბრძანეს თუ არა ნიკოლოზი, ჩვენს რეგისტრატორსაც პანჩური უჭირეს. დიდხანს აღარ უცოცხლია; სადღაც დაითვრა, გაცივდა და, კარგათ არ ვიცი—ანგელოზს თუ ეშმაკს, ჩააბარა თავის დამიშებული სული.

და როცა გავიგონე—რეგისტრატორი ვარო, მე ისე მომეჩვენა, რომ აი ის რეგისტრატორი საფლავიდან ამდგარა და ძველი ნაცნობობით კარზე მომდგომია მეთქი... გავშეშდი და ველარ ვიძროდი ვერც წინ და ვერც უკან.

ისევ გაისმა კარების ბრახუნი. იღბლათ ჩემმა ცოლმა ოთახიდან დერეფანში ანთებული ლამპა გამოიტანა და, ამით გამხნევებული, ერთხელ კიდევ შევეკითხე:

—ვინა ხარ?

— რეგისტრატორი, ასაწერათ მოვედი.

„ასაწერათ მოვედიო“—ამ სიტყვებმა სულ ამირდამირია დავთარი; უკვე ცხადი იყო, რომ ჩემს წინაშე დახურულ კარების უკან იდგა არა საიქიოდან მოსული, არამედ თანამედროვე ცოცხალი ადამიანი; მაგრამ აწერა რა შუაში იყო, ან რა უნდა აეწერათ, ეს ჩემთვის გაურკვეველი იყო; მადლობა ღმერთს, ვალი არავის მემართა, ან თუ მემართა—მეწვრილმანის, მეპურისა და მეყასბის, ისიც უვექსილოთ, მაშასადამე, ისინი ღ...სტს ვერ გამოიტანდა: მაშ, რაშია საქმე?

— მოქალაქევ,—გაისმა ისევ,—გააღეთ კარი; დღეს საყოველთაო აღწერა არის და თქვენი კარტოჩკაც უნდა შევავსოთო.

— აააა, საყოველთაო! ესე იგი ყველა მოქალაქეს უნდა აგვიწერონ სარჩო-საბადებელი! ალბათ, ფრანციას, ან ანგლიას უჩივლია ჩვენი მთავრობისთვის ნიკოლოზის

# „ჯავშნოსანი"



— ნუ სტირით... ხომ ხედავთ როგორ შეხვეული ვარ! მატარებლის მარცხი რომც მოხდეს, მე მაინც არაფერი მიშავს.

ვალების გამო ლიგა ნაციაში, ლისტი გამოუტანია და ახლა მთელი ავლა-დიდება უნდა გაალაგონ საბჭოთა კავშირიდან მეთქი,—გავიფიქრე.

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ დღეს არ შემიძლიან: ხვალ მობრძანდით, თქვენ თუ რამე საკბილოს ნახავთ, ასწერეთ, ლისტს წინ ვინ აღუდგება,—ვალ რომ გადახდა უნდა, მე ეს კარგათ ვიცი.

მოქალაქევ, რის ლისტი, რის ვალები!.. უნდა დავწეროთ: რამდენი წლისა ხართ, რამდენი სული ცხოვრობთ; რას აკეთებთ და სხვა ასეთი ცნობები გვესაჭიროება.

— თქვე კაი კაცო, რამდენი წლის ვარ, რომელია: სასალდათო რომ არა ვარ, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც, მალე სამოცი წლის კაცი რაღაში გამოგადგებათ?

მომესმა სიცილი.

— მოქალაქევ, ნუ გვაცდენთ, გააღეთ კარები და ხელათ აგიხსნით, რაშიაც არის საქმე.

ამ ლაპარაკში, ცოტა არ იყოს, გონს მოველი, გული გავიმაგრე და, თუმცა ჩემი დედაკაცი მიშლიდა, კარები გავაღე.

შემოვიდა უცნობი მოქალაქე, ხელი ჩამოგვართვა, სკამზე ჩამოჯდა, ტყავის ჩანთიდან რაღაც დაბეჭდილი ქაღალდები ამოალაგა, კარანდაში მოიმარჯვა და ღიმილით მომმართა:

— მოქალაქევ, ნუ თუ არ წაგიკითხავთ „მუშა"-ში, რომ 17 დეკემბერს დაიწყო სრულიად საკავშირო აღწერა, რომ ყველა პატიოსანი მოქალაქე, ყველა შეგნებული მშრომელი მოვალეა ხელი შეუწყოს ამ დიდ და სასარგებლო საქმის წარმატებით დაბოლოვებას?

— „მუშა"! ჰო, რატომაც არა, წაკითხული მაქვს! მაგრამ რატომ ან ვისთვის არის ეს აღწერა სასარგებლო? ალბათ, ახალი გადასახადების შემოღება განუზრახავს მთავრობას...

აღარ დამაცალა. ამოიღო გაზეთი და ხმამაღლა წამიკითხა რიკოვისა და ჩვენი სუხიშვილის მოწოდება მცხოვრებლებისადმი.

შემრცხვა, მაგრამ როგორ! თურმე ქვეყანას მოსდებია საკავშირო აღწერის ამბავი, მე კი, კეკელაზე დაიმედებულს, გული საგულეზე მქონდა და როგორ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი დიდი საქმე გამოეპარებოდა ჩვენს რადიო-პრიომნიკს.

— როგორ ვეტყოდი, თუ მე „მუშა" აგერ ორი წელიწადია, ხელშიაც არ ამიღია, როგორ გავამხელდი, რომ თოთხმეტი შაური ვერ გავიმეტე თვეში გაზეთის გამოსაწერათ?

ჩემს ცოლს თვალი ვუყავი, საკუჭნაოდან ძველი ღვინო და ყველი გამოვატანინე და წინ დავუწყე რეგისტრატორს: მაგრამ ის ისარნაკრავივით წამოვარდა და თითქოს მამამისი მე მომეკლას დამიბღვირა:

— მოქალაქევ! ჩვენ ღვინისთვის არ მოვსულვართ! ჩვენ გვაწევს განსაზღვრული მოვალეობა და პასუხისმგებლობა! კეთილი ინებეთ და მოგვეცით პასუხი აი ამ კითხვებზე.

და მოაყოლა ცისა და ბარის. მე მეგონა, პროკურორის წინაშე ვიდექი და, სიცოცხლე გაქვს, კაი-კაი პასუხებიც დავაყარე.

როცა რეგისტრატორი მორჩა და მეც მოვრჩი, ხელი ჩამომართვა და მშვიდობის ღამე მისურვა.

კარები მაგრა გამოვკეტე, სტოლის უჯრა გამოვაღე, ამოვიღე სამმანეთიანი და ჩემს ცოლს გავუწოდე:

— აი, სამი მანეთი: ხვალ საცა იყოს და არ იყოს, გაზეთ „მუშა"-ს მაღაზია ნახე, ერთი სამი თვით გაზეთი გამომიწერე: თუ ფული მოგრჩეს, ღმერთი არ გაგიწყრეს, უკან არ წამოიღო, მეოთხე თვეთაც გამოიწერე, თუ არ გეყოს 3 მან., ბეჭედი დაუტოვე გირაოთ; უგაზეთოთ კი არ დამტოვო; კეკელას კი ჩვენს ოჯახში დღეის შემდეგ ფეხი არ დაადგმევინო; სულ იმის ბრალია, რომ საყოველთაო აღწერის ამბავი გამომრჩა და უვიცი ადამიანის სახელი დავიმსახურე.

**კოლონა**

# დ ღ ი უ რ ი დ ა ნ

კვირა დილაა...
საბედისწერო,
რიცხვი კვიმატი.
(ვინც დღეს
შემხვდება
პირველათ,
ბრალი იმათი).
რაღა დავსწერო
ან რა ვსთქვა
მეტი
(საშინელია
რიცხვთა შორის
რიცხვი ცამეტი)
ვსთქვა კიდევ
ერთხელ
რომ ვარ
ღარიბი?
(ძაან კი მოსდგა
რობაქიძეს
პეტრე „ღარიბი")

მყავს გლახა
ცოლი;
ამ ქვეყანაზე
მას არ ყავს
ტოლი...
ან მომავალში
რაღაცას ველი..
არა ღირს, არა,
მელოდება ჩემი მკითხველი
—ეი, ყმაწვილო,
რას ჯღაბნი, ნეტა?!—
კიდევ მომვარდა
ჩემი ცოლი
„ნაზი" ანეტა...
—დღეს ხომ ხარ
მაინც თავისუფალი?
თვითონ იყიდე
„პროვიზია",
არ გაგიწყრება
ღმერთი-უფალი!—

რა ჯანი მქონდა,
მეც წამოვიცვი
მკლავზე კალათა
და ბაზრისაკენ
წავჩანჩალდი
ძალის-ძალათა...
მივმართე ერთსა
ხორცით მოვაჭრეს
(ჩემს გვერდში
მდგომსა

„ნაცნობებმა"
ჯიბა მოაჭრეს;
ატყდა განგაში
მოგროვდენ ყველა
კახნი მთიელნი...
და როგორც იქნა
ყველაზე „ადრე"
მოვიდა მაინც
მილიციელი...)
—ძმაო, ილო,—
მივმართე მე
ნაცნობ
მეხორცეს,—
რა ღირს
ხორცი
ერთი კილო?
—ექვს აბაზს
არ დააკლდება
კაპიკი, „ჩეთი",
უკეთესს ხორცსა
ვერსად იშოვი
რომ მოიაროთ
მთელი შილეთი...
—ილო ჩემო,
ისე მითხარ,
ძმობილურათ,
ერთი კილო
რამდენია ძველებურათ?
—განა არ იცი?
ორ გირვანქასა
„ასმუშკა" აკლია
არ უნდა ფიცი;
—ცოტა ყოფილა,
არ მომდის გონში
ისევ იქ წავალ
„მიასოტორგში"...

მაგრამ იქვე დავინახე
სოფლელი ქალი
ხელში ეჭირა
მსუქანი,
უშველებელი
ბატია;
—რა ღირს,
დობილო?,
—ამისი ფასი
რვა აბაზია...
არ მოგეწონათ?,
ახია თქვენზე;
რად გაგვიძვირეთ
ჩვენ ბამბაზია...

(უკეთესი
დღეს ვჭამ
ლობიოს,
თუ ვინდ ეწყინოს
ჩემ რძალს
სოფიოს).
არ მივაყენებ
არვის ვნებასა...
ხორცის ყიდვაზე
ხელი ავიღე
და შევუერთდი
ვაჭართ კრებასა...

— ხათაა, რაღა,—
ამბობდა ერთი!—
კაუწყრათ
ჰაგათ
ამჩენი ღმერთი;
ამოიგონეს
ალაც აღწერა,
ცოდეთ
ვენ ვართ
მისი წერა...
რ ჩავეწეროთ,
ამოვაცხადოთ,
ასტიკი ომი;
ხვა რა იქნება
„ნალოგს"
დაგვადებს
ვენ აღმასკომი...
—აგრე იქნება,
რა ვარ ხამი,
ვენ გადაგვხდება
უთი მანეთი
ქალებს კი სამი...
--სულ ტყვილია,
ნუ უგდებთ ყურსა;
უნდათ გაიგონ
რამდენს ვჭამთ პურსა.
—ქორიკანებო,

კოველ
კარგს საქმეს,
მარს მოსდებთ
რამეს—
მათ ჩაერიათ
ბოლო დროს
მუშა,
მათი სიყალბე
სულ მთლათ
ჩაფუშა.

კაკოს ბიძა.






რკინისგზელი: გეურქ, აი ეხლა მჭირია შენი მეზო ბლობა: ოცი მანეთი მასესხე და როგორც კი დავბრუნდები, მაშინვე დაგიბრუნებ.

გეურქა: გეეეს! სადა მაქვს დასაკარგი ფული?.. და ბრუნდები ცოცხალი კი ვიცი?!

# დიალოგი

— მე მუდამ ვამბობდი, რომ პროტექცია საზიანოა. არა მარტო საზიანო, ზოგ შემთხვევაში ის პირდაპირ დამღუპველია.

— როგორ, ადამიანო, პროტექცია და ნათლიმამობა რომ არ იყოს, შენ რალა გეშველებოდა? სამსახურს ვინ-ლა გიშოვიდა?; ბინას ვისლა მოგცემდა?, შვებულებაში ერთი თვის ნაცვლად სამ თვეს ვინ გაგიშვებდა?. კამანდიროვკებს ვინ მოგიწყობდა?...

— შენგან არ მიკვირს?!.. განა პროტექცია ამას ჰქვია?!... შენც არ მომიკვდე! შენ რომ ჩამოსთვალე, ის სულ „პურმარილია“, პროტექცია კი სულ სხვაა.

— როგორ სხვაა?

— პროტექცია, ჩემო ძმაო, აი რას ქვია: ვსთქვათ შენ უსამსახუროთ ხარ, გყავს ნაცნობები მიდი იმ ნაცნობებთან. იმ ნაცნობმა მიგიწერა მეორე ნაცნოთან, მეორე ნაცნობმა მიგაგზავნა მესამე აცნობთან, იმან კიდევ თავისთან, იმან კიდევ თავის ნაცნობთან და ასე შემდეგ. თუ ღმერთმა ქნა და უკანასკნელ ნაცნობს მიაღწიე იქ გეტყვიან:—ხვალ მოდიო,—ხვალ მიხვალ, კიდევ გეტყვიან—ხვალ მოდი,—კიდევ მიხვალ, კიდევ—ხვალ,—და ასე შემდეგ.

— ამას ხომ ბიუროკრატიზმი ჰქვია?

—შენც არ მომიკვდე! ბიუროკრატიზმი აი რა არის: ვსთქვათ შენ ბინაზე გაქვს წყალსადენის ონკანი. დღეში ხარჯავ სამ ვედრო წყალს. თვე გავიდა და წყალსადენის განყოფილებამ შენ უზარმაზარი ანგარიში შეგაცურა. შენ დასწერე განცხადება, შეიტანე წყალსადენის კანცელარიაში და ელი პასუხს. დაგიბარებენ სამი დღის შემდეგ. მიხვალ. გადაგიდებენ კიდევ სამ დღეს. კიდევ მიხვალ. გადაგიდებენ კიდევ სამ დღეს, შემდეგ გამოგიცხადებენ, რომ შენი ქაღალდი დაიკარგა და გთხოვენ ახალი დასწერო. იმ ქაღალდს ერთ კვირაში კიდევ დაკარგავენ და ასე შემდეგ, სახლში კი წყალს დაგიკეტენ, საპირფარეშოში ველარ შეხვალ, სარეცხს ვერ გაარეცხინებ, ხელს ველარ დაიბან. ადგები და ერთ განცხადებას კიდევ დასწერ.

— ამის განცხადებაც თუ დაიკარგა—ამას ჰქვია ბიუროკრატიზმი.

— კარგი, მაგრამ რად მოჰყევი ეხლა ეგ ამბავი?

— რათა და პროტექციის მავნებლობა მინდა დავამტკიცო. ამას წინედ ჩემს მეგობარს სოფლიდან ნათესავი ჩამოუვიდა. რა თქმა უნდა მას სამსახური უნდოდა.

მეგობარმა ჩემთან გამოგზავნა, მე ჩემს მეგობარს გაუგზავნე, იქიდან კიდევ სხვასთან და ბოლოს სულ უცნობ კაცს ჩაუვარდა ხელში.

იმ ულმერთოებმაც აილო და... ადამიანი დაღუპა.

— როგორ დაღუპა?

— როგორ და კოოპერატივში მოლარედ გაგზავნა.

— მერე რა არის აქ დასაღუპავი?

— აგერ გიამბობ:

იმსახურა ერთი თვე, ლამაზად და პატიოსნად იყო. მეორე თვე კიდევ უფრო ლამაზად და პატიოსნად. მესამე თვე... კიდევ უფრო უკეთესად.

მეოთხე თვეზე კი...

გამასწორებელ სახლში ამოჰყო თავი.

—რათა კაცო?

— რათა და არ იცი? ფულებმა დაღუპეს. კოოპერატივის ფულები შემოეჭამა.

—ესეც შენი პროტექცია. უცნობ კაცს რომ ჩაუვარდები ხელში. მა რა დაგემართება?

ისევ „პურ-მარილის“ მადლი, თორემ... მშრალი პროტექციით ჩემო ძმაო, ფონს ველარ გახვალ.

ხოზიკა.

# კაპიტონის სიკვდილი

როცა კაპიტონი კვდებოდა, მოუხმო თავისს მოსწრებულ შვილებს: ნეოფიტეს, მარუსიას და კაპიტონს (უნცროსს) და ასეთ სიტყვებით მიმართა მათ:

— შვილებო, მე ვკდები. სანამ კარგად ვიყავი არც თქვენ გქონიათ ჩემი დიდი პატივისცემა და, ღვთის წინაშე, არც მე მყვარებიხართ ისე, როგორც ეს მამათქვენს შეჰფეროდა მაგრამ ამ სიკვდილის წინ ერთი ანდერძი მაინც მინდა დაგიტოვოთ და ყური დამიგდეთ ცოტა ხანს...

აქ კაპიტონი უძლურად დაეშვა ლოგინზე. კაპიტონ უნცროსმა თვალი უყო დაძმას, შემდეგ ვეღარ მოითმინა და გადაიხარხარა:

— მამაჩემო, ნუ იღალავ ტყვილა თავს ლაპარაკით. იქნება ორი წუთი კიდევ გასძლო ზედმეტი. ენუქას ანდერძი უკვე საკმაოდ მოძველებული ანეგდოტია. დღეს კულტუროსანი ადამიანი არ მოისმენს მას...

მარუსიამ მხიარულად ჩაიკისკისა.

ნეოფიტე ჩუმად იდგა და თითქოს რაღაცას ანგარიშობდა გუნებაში.

კაპიტონ უფროსმა მძიმედ ამოიხვნეშა და წყნარად გადახედა სიკვდილის სარეცელთან ჩამწკრივებულ შვილებს.

— შვილებო, რომ დაგწყევლოთ, ღმერთი არ გწამთ. რომ გითხრათ გაეთრიეთ კარშიო, ჯერ არ მომკვდარვარ და უდროოდ ჩამკლავით ამ ლოგინში. ისევ ჩემსას ვიტყვი და მერე თუ გინდათ უკან გამომყოლიხართ ერთ საათში...

შვილებმა ჩაიფრუტუნეს.

— მოგმართავთ სათითაოდ, განაგრძო კაპიტონმა. შენ ნეოფიტე, ანგარიშის კაცი ხარ. მსახურობ. ჯამაგირიც კარგი გაქვს, ანგარიშიც, რა თქმა უნდა, კარგად იცი, მაგრამ მაინც გეშლება ხოლმე ხანდისხან. თუმცა სიცოცხლეში ჩემთვის კაპიკი არ გემეტებოდა და ერთი თუმანი ძლივს წაგლიტე თვეში სასამართლოს საშუალებით, მაგრამ მაინც გაძლევ ერთ რჩევას. ფრთხილად იყავი, ნუ გეშლება ანგარიში, თორემ შენც ანგარიშში გამოგიყვანებენ და მერე საიქიოშიაც აღარ მექნება შენგან მოსვენება.

— ეხლა შენ გეუბნები ჩემო მარუსია. არც შენ ხარ ურიგო ქალი. როგორც შენ ტოლებს, სეირნობა შენ გიყვარს და ხშირად ისეთ ადგილას დამინახიხარ შორიდან, სადაც მამაშენსაც კი ვერ შემოედგა ფეხი, მაგრამ შენც გაქვს ერთი ნაკლი.მამაშენის გამონაკლისით, მამაკაცებთან ძალიან რბილი ხარ. ჩემი რჩევაა შვილო, თუ როდისმე ეღირსო გათხოვებას, წაგლიჯე რისი წაგლეჯაც შეგიძლია ქმარს და მიატოვე, თორემ შენ თვითონ მიგატოვებს. იცოდე, რომ შენი ენის პატრონს ან ჩიხოტკა მოელის ერთ თვეში ანდა აქედან სამუდამოდ გადაკარგვა...

— ეხლა შენ ჩემო უსაყვარელესო შვილო კაპიტონ. შენთვის ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. შენი კაცობა მთელ არე-მარემ იცის. არ დარჩენილა არც ერთი სამილიციო უბანი, სადაც ერთი ღამე მაინც არ გაგეთიოს, დაკვირვებული კაცი ხარ, ჩემგან ჭკუას სწავლება აღარ გესაჭიროება, მაგრამ მაინც გეტყვი ორიოდე სიტყვას. როცა დაცოლიანდები და შვილები გეყოლება, არ გაგიწყრეს ღმერთი და სწავლაში არ მისცე ისინი, თორემ ჩემზე უკეთესი ბედი არც შენ მოგელის...

— აი, შვილბო, რაც მინდოდა სულ თქმა და აწი რაც გინდათ ის ქენით... დაამთავრა კაპიტანმა თავისი სიტყვა, მოითხოვა ძმარ-პილპილიანი საჭმელი, გადაყლაპა ოთხი თუ ხუთი ლუკმა, გაილიმა ნეტარებისაგან და გაჭიმა ფეხები.

შვილები არ მოელოდენ მამისაგან ასე უეცრად მიტოვებას და ეცჲენ მიცვალებულს.

— მამა, გვითხარი, რას გვიტოვებ... რა ქონებას! მაგრამ კაპიტონი უკვე სააქაოში აღარ იყო და ღვთის წინაშე იდგა უკანასკნელ ანგარიშების ჩასაბარებლად.

როდესაც კაპიტონი ხმას არ იღებდა, დადგენ შვილები გვამის ახლოს და დაიწყეს მსჯელობა. როგორ გაესვენებიათ მიცვალებული.

— მუსიკით გასვენება არ ღირს, თქვა ნეოფიტემ, მამაჩვენს მუსიკა მაშინ უყვარდა, როდესაც სხვას მიასვენებდენ ხოლმე, და ეხლა იგი გინდა მუსიკით გაგვისვენებია და გინდა არღნით... პირიქით, სულ იმას იძახოდა ცხონებული, ოღონდ გასასვენებლად არ გავხდებოდე და მუსკა ჩემს გამსვენებლებისთვის დამილოცნიაო...

მესამე დღეს, როგორც იქნა, წააჩინჩილეს კაპიტონი სასაფლაოზე და გახარებული შვილები დარჩენილ ქონების გაყოფას შეუდგენ.

გასვენების მეორე დღეს, ნეოფიტეს ისე აეშალა ჯავრისაგან ანგარიში, რომ ხუთი ათასი მანეთი ხაზინაში შეტანის ნაცვლად სახლში წამოყვა შეუმჩნევლად და ასევე შეუმჩნევლად ჩამალა კედლის ნახვრეტში.

როდესაც შემდეგ მოსამართლე შეეკითხა ნეოფიტეს, როგორ მოხდა, რომ სახაზინო ფულები ბინაზე აღმოჩნდაო, ნეოფიტემ უპასუხა:

— უსაყვარლეს მამის სიკვდილმა ისეთი საშინელი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ არც შეიძლებოდა სხვა-

## ლევარსი როხროხაძის მუხრუჭი



# „მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ი“



„კუდაბზიკა ნააზნაურჩევი“ (ვატმანს): იმე, ყმაწვილო, იმ კაცმა თუ კი გადაახვევია განზე ურემს, ცოტა შენც რომ გაგეწია აი ტრანვაი რა იქნებოდა?

ნაირად მოშხდარიყო. შეეკითხეთ ექსპერტებს: და თუ ეს ასე არ იქნება, შერცხვენილი ვიყო.

სასამართლომ ნეოფიტე სცნო უდანაშაულოდ და გაანთავისუფლა.

ამ დროს მარუსია ასე ელაპარაკებოდა თავის ქმარს:

— რომ საყვარელ მამის სიკვდილი არა, მე შენ ცოლად არასდროს არ გამოგყვებოდი. სხვა გზა არ არის, უნდა გავიყაროთ, და როგორც ყოველგვარ სარჩო-საბადებელს მოკლებულს ვალდებული ხართ საცხოვრებელი თანხა მაძლიოთ ყოველ თვეს, და გარდა ამისა ყოველ წელ ერთი თვის კომპენსაცია, როგორც ამას ღებულობენ ხოლმე პასუხისმგები მუშაკები დაწესებულებებში.

საქმის გარჩევის დროს მარუსიას მოთხოვნილები სამართლიანად იქმნა ცნობილი და დაკმაყოფილებული სავსებით.

თვის დაკავებული კაპიტონ ასე იმართლებდა თავს კამერაში:

— მოსამართლენო, ვისაც ძვირფასი მამა არ მოკვდომია, ის ვერასოდეს მიხვდება ჩემს მდგომარეობას. შეგნება დაკარგულს სად მახსოვდა მე მაშინ წესრიგი და მისი კანონები. მე ადვილად შემეძლო უფრო უარესიც ჩამედინა, რადგან ჩემი პატოლოგიური ორგანიზმი არა თუ ეწინააღმდეგება ამას, არამედ ხელს უწყობს კიდეც. თუ არ გჯერათ შეეკითხეთ ექსპერტებს...

როდესაც კაპიტონ უნ()ოსი კამერიდან თავისუფალი გამოდიოდა და მეგობარს წააწყდა, ასე უთხრა:

— იცი, რა მაზალო იქნება, ეხლა ბიძაჩემიც რომ მოკვდეს?—ისეთს აურზაურს ავტეხავ, რომ ჩემს დანახვისთანავე კლუბებიდან სულ ქუდმოგლეჯილი გარბოდენ...

**სინემატო.**

# სიუტიფრე

„გალმა გაედავე, რათა გა-
მოღმა შეგრჩესო“.
ხალხური ანდაზა.

მარქენალი ხარი ჰყავდა
ერთ გლეხს, თარხანს,
მსგავსი ხარი ვერ ითმენს, თუ
რქებს არ აფხანს
რომელიმე სხვა საგანსა,
თუნდაც ქვისას,
თითქოს იგი მტერი იყვეს
თავის რქისა,
ისე უქნევს იმას ყველას
და ყველაფერს,
თითქოს ლომსა, გინდ ფაფაში
უსვრის ლაფერს.
თვით თარხანს კი ედგა იგი
თვინიერად
და გამწევიც იყო ულლის
ღონიერად.
მაგრამ თარხანს მეზობელი
ქურდი ჰყავდა,
ვინც რომ თარხანს არაფრით არ
დაჰზოგავდა.
ქურდიც მის ხარს, მარქენალიც
იყვეს თუნდა,
თვალს ავლებდა, რომ მოპარვა,
ალბათ, სურდა.
და ამიტომ ღამით თარხანს
შეგნებულათ
ჰყავდა ხარი ჩიხში ისე,
გაშვებულათ,
არ აბამდა და რქებს თოკით
არ უკრავდა,
და მით თითქოს ის „მარცხის ფეხს“
განზრახ ჰგავდა.
და აი, რა? ერთხელ სოფლის
ხელისუფალს
საჩივარით ეახლა და
სდგას, თავს უკრავს
თვითონ ქურდი, თარხანის ის
მეზობელი,
ვინც რომ თურმე, ღამე იყო
როცა ბნელი,
ჩიხს ესტუმრა, თარხანის ხარს
უტრიალა,
მაგრამ ხარმა იმედი გა-
უტრიალა:
თავი აღარ დაანება,
რქებს აღერდა,
ასე რომ ქურდს შურით
გულიც აუძგერდა,
რადგან ხარი ვერ მოხელთა,
ის თავ-ხედი,
მთელ ღამეს რომ აწყეველინა
ქურდს თავ-ბედი.
და აი, სდგას ის აქ ახლა
არზით ხელში,
აგონდება რა წარსული
ღამის ბნელში,
ის უხსნის აქ ხელისუფალს
დალაგებით,
თუ ვით დადის ღამით ის ბნელ
ალაგებით,
როგორც კაცი მონადირე
მგელზე, დათვზე,
მსხვერპლად მიაქვს თავი რაღა,
ამ ხიფათზე,
რომ სურს სოფლის მშვიდობა და
ტკბილი ძილი,
რა საქმიდანც შინ ბრუნდება
მხოლოდ დილით.
მაგრამ სოფლად სახიფათო
მან შენიშნა,
მარქენალი ხარი რომ ჰყავს
თარხანს ჩიხში,
აშვებული უთოკოთ და
უსაბელოთ,
სთხოვს, ალაგმოს რითიმე
ეს მეზობელი,
თუნდაც მითი. რომ ბრძანდებით,
თარხანს, მკაცრით
დააკისროს ღამით ხარის
დაბმა ბაწრით!..
ამ საქმეზე თარხანი რომ
დაიბარეს,
მან ქურდს ჰკადრა, სოფლის ერთგულს
და მოყვარეს:
— „ხარის დაბმა დიდი საქმე
სულ არ არის,
აქ არც ჩემი საკითხია
არ იმ ხარის:
თოკს ვნახავ და ხარს მივაბამ
სადმე დირეს,
მხოლოდ უფრთხი შენისთანა
მონადირეს!..

ხდება ხოლმე, როცა კლიტე
გააბრაზებს,
ქურდი ჩივილს სახლის პატრონს
თვით დაასწრებს.
და თავს აცრობს ხელისუფალს
სწორედ აგრე,
როგორც ქვეყნის მოსარჩლე და
მოამაგე!

ონისიმე.




# არშიყი გამგე

„ბევრი ნახავს აქ თავისთავს“.

ვინმე გამგემ თვის მეგობარს
დაავალა ერთი რამე:

ადვილია, რა თქმა უნდა,
გამიკეთე, შენ ეს საქმე:
თუ კაცი ხარ, „მაშინისტკა“
მომიყვანე კარგი, მარდი,
ლამაზი და ახალგაზრდა,
გამიქარწყლოს თანაც დარდი.
დამერწმუნე: გადაგიხდი,
არ დამრჩები უმადური;
გასამრჯელოს კარგსა მოგცემ...
გამიწიე სამსახური

მეგობარმაც მოუყვანა
თვალწარმტაცი ნაზი ქალი...
და ამ დღიდან ამ ჩვენს გამგეს
გულს მოედვა ცეცხლის ალი.
დაივიწყა ცოლი, შვილი,
მიატოვა შარა გზაზე;
აღარ ფიქრობს, თუ სხვა ვინმე
კიდევ არის ქვეყანაზე...
და ეს ქალიც ეშმაკურად
ეპარება, ვით თაგვს კატა.
ქსელში აბამს, ბადეს უგებს,
უგზო-უკვლოთ შიგ გახლართა.
მის მოღალატულ გულს და მკლავებს
ჰკოცნის გამგე. ეხუტება,
„მაშინისტკაც“ უალერსებს,
ისიც აღარ ეხუმრება.
აღარ აკლებს ქალს უფროსი
მუდამ კინოს, თეატრს, ფულსა,
ავტოებით ასეირნებს,
ეფიცება სიყვარულსა.
სამსახურში აღარ შრომობს
და სალაროც გამოსცალა;
რა მოელის აღარ ფიქრობს,
სულ ჭკუიდან შეიშალა...

აი ასე გასტარა
ამ ქრიჭინამ გაზაფხული,
ზაფხული და შემოდგომა...
საქმე ჰქონდა გაჩარხული.
მხოლოდ, როცა ზამთრის სუსხმა
მოატანა მთა და ბარსა.
მყუდროება. მზე და მთვარე
როს თან გაჰყვა ნიავ-ქარსა. —
ჩაჰქრა მაშინ ტრფობის ალიც
და დასრულდა თვით რომანი...
მეტეხმა კი არშიყ გამგეს
დაუნიშნა ბინა-ბინა

იქ ზის ეხლა და ყურებში
ჩასჩურჩულებს ავი ქარი:
ხატრფომ უკვე გაგივიწყა,
იგი შენი აღარ არი.
ნულარ სტირი, დაამშვიდე
გული მისგან განატეხი:
იმის ნაცვლად გიმიჯნურებს
რვა წლის ვადით ეს მეტეხი!

ნაპერწკალი.

წაიკითხეთ მე-16-ე
გვერდი

# „მონადირენი“



ვაჟკაცები შეიკაზმენ და გასწიეს სანადიროთ.
სიქვეხ: აწ ჩვენი დევ-გმირობით გვსურს ქვეყანა [illegible]ვოთ.
მიდიან და იმღერიან: „გუშინ შვილნი გურჯანელნი
ტყეს მოედვენ, ველს გავიდენ, ნაბიჯი აქვთ არა [illegible]ლი.

ხეზე სკვინჩა შეამჩნიეს, რაზმი ფრთხილად ეპარება,
სამი ერთად თოფს უმიზნებს დაერთმანეთს ეფარება;
ზოგს ჰგონია ხეზე ისვი, ზოგი ფიქრობს—ხოხობია,
კამათი აქვთ: ისეს ხოხობი, ხოხობს ისვი ვით ხჯობია.

ესროლეს და ექვსი ლულა ყველა ერთხმად აგუგუნდა,
თუმც უმიზნეს, მაგრამ მიზანს ააცილეს, რა თქმა უნდა.
სკვინჩა მაინც ჩამოვარდა—სროლით გული გაუტკვლიცეს,
ჩხუბი შექნეს, თუ ვინ მოჰკლა, ურთიერთს ველარ დაუმტკიცეს

ნანადირი (მძიმე ტვირთი) გრძელ ბერკეტზე ჩამოჰკიდეს
და სამივემ ის ნადავლი აიკიდეს, ერთად ზიდეს.

გზაში კვლავაც მონადირე შეეგება ზეიმით,
სიტყვა ხვექა და ვაჟკაცებს გმირობაზე მიუთითა.

ყურდღელი კი ბუჩქებიდან უყურებდა იმათ ყოფას,
და წინათ რომ ვერ ბედავდა შიშით ცხვირის გამოყოფას,
ამ დატვირთულ მონადირეთ დრო უშოვა და უტიფრათ
თათით ცხვირი გაუკეთა უსირცხვილოთ და უშიშრათ.

აფსუს! ერთი არ მქონდათ ვაჟკაცთ მხარზე იგი ტვირთი,
ანახვებდენ იმ ყურდღელს თუ როგორ უნდა ზირთი-ფირთი!

ხოზიკა.



# მუდმივი სტუმარი



— რა დილა-ადრიან ჩამოსულხარ აქა?
— რატომ დილა-ადრიან! მე გუშინ საღამოდან აქა ვარ.

# მესტვირული



ძღვნად სამტრედიას
ლებში

თუმც არ ვარ ძველი მესტვირე,
მესტვირეთ შორის ქებული;
ვიცი არა ჰგავს მესტვირულს
ხმა ჩემი დახრინწებული
და არც იქნება ბევრთაგან
დღეს იგი მოწონებული—
—მაინც მსურს სტვირი ვიხმარო
ადრევე მოგონებული,
რათა ვამხილო ცოდვები
ჯერ სულ არ დამიწებულ
(ჩემი კალამიც ამას ხმობს
მელანში ამოწებული).

—ნუ გიკვირთ, თუმცა ავიღე
დღეს ხელში გუდა სტვირია,
ხომ საიქიოსათვის არ მინდა,
მხოლოდ დროებით მჭირია,
რათა მით მიმოვათხელო
ცოდვები განახშირია...
მინდა რომ მივსწვდე იმ ადგილს,
სადაც მათრახი ძვირია,
სადაცა ბიუროკრატებს
აუშვერიათ ცხვირია.

ნუ მძრახავთ, თუ სამტრედიის
მომინდა მონახულება,
თქვენ რა გრჯით, რომ შევასრულო
მე ჩემი დანიშნულება,
ჩამოუარო ძმა-ბიჭებს,
ვინც ღირსად კი მეგულება;
ვაგემო საგემებელი,
ვანანო გადარჯულება.

ჯერ ვნახავ იმ პუნქტს, რომელსაც
პუნქტი დამზღვევი რქმევია,
რომელსაც სამტრედიაში
ბევრი არ დაუზღვევია.
(გაჭირვების ჟამს მის კარზე
ცრემლი მეც დამიფრქვევია
თუ დღეს ჯაია იქ არ გვყავს,
პუნქტს სწორედ ბედი სწვევია.

მე ღირსად ვთვლი, რომ ვახსენო
ჯაია გრძელი ცხვირითა,
რადგან შესულებს ულრენდა
გაცეცხლებულის პირითა;
(ერთხელ მეც გამომისტუმრა
მკვახე სიტყვითა ხშირით-
როს დახმარება მეწადა
სნეულს ჰაობის ჭირით)

შემდეგ მივმართავ აფთიაქს,
რადგან წამალი მჭირია,—
იქ ფარმაცევტი მინახავს
სიტყვა მყრალი და ყვირია.
—მინდა რომ მასაც ყურებში
ავუპუტუნო სტვირია.
თან ვუთავაზო მათრახიც
შტატში არ შინამ...

მინდა ახავე საჩუქრის
მოლარის დაჯილდოვება,
ვის ხელში ფულსა სალარო
სამყოფად ევიწროვება.
(არც ისე ახალგაზრდაა,
—პასუხი მიეთხოვება).
იასონს ვნახავ ხალიანს
(მისგან მექნება თუ ნება),
სამსახურის ჟამს რომ უყვარს
ნაგანის აჩხაკუნება.
ორი თუ სამი მათრახი
მისთვის არ დაგვეწუნება.

მსურს: უნახავად არ დამრჩეს
შენობა პროფ-კავშირისა:
მსურს შიგ შევიდე, თუ შევძელ
შეტანა გუდა სტვირისა.
რათა ვუმღერო სულ-ყველას
სიმღერა ძილის პირისა.
რადგან ერთ წელშიც ვერ შესძლო
მათ საქმე ერთის კვირისა,
კავშირის წევრი დღესაც-კი
უწიგნაკობას სტირისა.

—

მივმართავ მარო ცანავას,
როგორმე თუ ვიცანია,
მინდა რომ საქმე დავმართო
კეფისა მოსაფხანია:
ჩვენგან ფულები წაიღო,
მას შემდეგ დიდი ხანია,
შეპირებული წიგნები
დღესაც არ მოუტანია.

—

არ მინდა დამრჩეს უქებრად
ჩვენი ბაზარი დიდია:
მყიდველს და გამყიდველს შორ-
დალალი მტკიცე ხიდია;
კატის კამეჩად ასაღებს
ენა იმისი ფლიდია;
გამოჰყავთ ხარი ნახედნი
(არა აქვთ მისი რიდია)
და ერთხელ კიდევ სალდება
ხუთმეტჯერ განაყიდია...
(დალალმა თვით თუ მოიგო,
სხვა ხომ ფეხებზე ჰკიდია).

აწ მივალ სადაც მრავალი
დიაცი შემოკრებულა,
მათი კვერცხი და ქათამი
მთელ რაიონში ქებულა,
რადგან მათ ხელში მოსვლამდიც
მრავალჯერ გასაღებულა:
ჰყიდულობენ და ჰყიდიან,
ფულიც ხომ მით მოგებულა...
(აწ სამტრედიას რა უჭირს,
ქალებიც გაეაჭრეშულა).

აწ ვგონებ კმარა ღირსთათვის
„ქება“ სიტყვითა ხშირითა,
თუმცა ბევრ ვინმეს არ ეთქმის
ეს „ქება“ენა პირითა,—
მაგრამ ცხადია რომ ზოგი
მყავს სატირელი სტვირითა,
და მისთვის მინდა მათ ზურგზე
ერთხელ კვლავ გამა[illegible]რითა.

ქაჯი.

## ᲛᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ

ჩვენი დაბა შეიცვალა:
აღარ არის რაც წინ იყო:
კულტ-სექციის მუშაობამ
ბევრი კარგი საქმე გვიყო.
წარმოდგენა-ლექციები
იმართება წარა-მარა.
ამ საქმისთვის ღამბაშიძემ,
ძმაო, ბევრი ოფლი ღვარა.
ჩვენი საქმე გამოსწორდა,
სულ მიფრინავს, სულ წინ მიდის.
ქუჩებზე გვაქვს იატაკი
შემკობილი რკინის ხიდით.
წყალსადენი მოჩუხჩუხებს,
აქეთ წყარო, იქით მილი.
ყვავილები ჰფენენ სურნელს,
ედემივით გადაშლილი.
უწინ „ეპო“-ს სასადილოს—
რომ აფრთხობდა ყეფა ძაღლის,—
სადღა ნახავ წვენში ბუზებს.
ან კატლეტის ქამით დაღლილს.
ფოსტა ფოსტობს, ვერსად ნახავ
წესრიგს მაღალს, თუნდა ასეთს.
ჯერ არც-კია დაბეჭდილი—
მოგაწვდიან ახალ გაზეთს.
ვინ იტყოდა გლეხკომი თუ
ამზადებდა საქმეს საზარს—
და ძველ ჩარჩს და მოვაჭრეებს
წაართმევდა სულ მთლად ბაზარს!..
ასე მივალთ... სულ წინ მივქრით.
ვინ აჯობებს ამ ჩვენ ალაგს;
ელექტრონიც დაგვეკაშკაშებს,
გაუსწარით თბილის ქალაქს*).

ტრია-ტრია.

---

*) ღმერთი ოჯახს აგიშენებს.
სიტყვას ამბობ ისე მართალს,
როგორც თქვენი „ეპო“ გლეხებს,
აწვდის მუდამ იაფ ფართალს.
ტარტაროზი ძლიერ ჯავრობს,
ცეცხლს უკიდებს თავის კარავს,
ამბობს ოხერ „ტრია-ტრიას“,
ეს რა მაგრა მიუქარავს.

# ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘ



მოღუშულ თვალით გადავსცქერი წარსულის სივრცეს,
თვალთა ისარი მივაბრჯინე შორეულ წარსულს.
თვალუწვდენელ მანძილს ისტორიის ვიტევ ორბიტში,
რომ აღვადგინო სახეები ჩემებრ რაინდთა.
თვალწინ მიდგება „სახელოვანთ“ მთელი პლეადა;
მაგრამ მათ შორის მე მიტაცებს მხოლოდ ნერონი,
რადგან იგი „ღირსეული შვილი“ ჩემს ქვეყნის
და მე ვარ მისი „ღირსეული შთამომავალი“
ჩემს მსგავსთა შობა არა ძალუძს ერთ საუკუნეს;
მხოლოდ მრავალმა იქნებ ჰშობოს და ისიც ერთი;
ნერონის შემდეგ გახდა ბერწი ჟამთა ტრიალი,
ხოლო მეოცე საუკუნემ მშობა მე ძლივს-ღა.
მე მოვუსწარი სარეცელზე მომაკვდავ ყოფას
და სასიკვდილო ჩემი წამლით შემოვაბრუნე.
დახავსებულსა და მიმავალს არქივისაკენ,
სული ვუთაბერე და გარდავქენ კვლავ ახალგაზრდათ.
ვარ შტაინახი ჭეშმარიტად... აუცილებლად,

## ᲜᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲐ

ბრავო მუსოლინ!.. ერთგული ხარ ჩემ ტრადიციის,
განაგრძე მაგრე... მოაგონე ხალხს ჩემი ხანა
და შენს წინაპარს არ მაჭამო სირცხვილი შენა,
იქ, ჯოჯოხეთში ტირანებმა ყველა ქვეყნისა.
ამოგირჩიეთ მეფეთ-მეფეთ და ჩვენსა შეფათ.
ვამაყობ ამით... იმედები შენც გამიმართლე.
ბრავო მუსოლინ! ერთგული ხარ ჩემ ტრადიციის...

ი—ი.



# ფრჩხილის კუთხე



## „ბ რ ძ ა ნ ე ბ ა“

თქვენ გგონიათ, რომ ახლა აქ გამგეზე იქნება ლაპარაკი... შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება არა... ხოლო ვინც ზაჰესში ბახუტოვს იცნობს, იგი კი მიხვდება ვინ არის ბახუტოვი.

მან გამოსცა ასეთი ბრძანება:

თანამშრომელ მესხიძეს მიეცეს ოთხი დღის შვებულება სოფელში წასასვლელად, რათა გაასუქოს საშობაო ინდაურები და გოჭები და აგრეთვე ჩამოიტანოს სურსათ-სანოვაგე, რომლის „ლომის კერძი“ მერგოს მე.

ხელს აწერს საგანგებო.

ჩვენი გაფრთხილება: „ლომის კერძის“-ს მსურველი არ გახდეს ტარტაროზის კერძი.

## „შ ო რ ს მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ნ ი“



ხომ კარგი ცხენია? რატომაც არ იქნება: ოცდა ერთი თუმანი მისცეს საფასურად პატრონს... და ისიც სოფ. თამაკონის (სენაკის მაზრა) „ეპო“-ს ფულები... დიახ! გამგეობამ იყიდა ეს ცხენი იმ მოსაზრებით, რომ

„სალაროში ფულის გაჩერება საზარალოა... ფული ტრიალში უნდა იყოს...

ჰო-და იყიდეს ეს ცხენი და მიართვეს გამგეობის თავმჯდომარეს კოსტის. (ალბად მოფერებითი სახელია).

„ცოტა ხანს ვისეირნებთ ცხენით და მალე კი გასაქცევადაც გამოგვადგებაო.

აი, ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ამ ხალხს შორსმჭვრეტელნი.

ერთხანს კი იჯირითა კოსტიმ... და შემდეგ მოჰკურცხლა.

მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ ამ ცხენით!? არა... ის არც ასე უსინდისოა, რომ ცხენით გაქცეულიყო და თავისი „ძმები“ დაეტოვებინა...

„თბილისისაკენ გაუდგა... და ეხლა თურმე აქ ქეიფობს.

აქამდი ფულისთვის მაინც ჩამოდიოდა... ეხლა კი ამისათვისაც არ იწუხებს თავს... ე. ი. როგორ არ იწუხებს,—დეპეშით თხოულობს ფულს გადაგზავნას.

ამ ამბავს გვატყობინებს ჩვენ იქაური... და წერილის ბოლოში ასე გვწერს:

ამხ. ტარტაროზო! არ დაიზარო შენი ჩანგალი და ისე მაგრად ჩასცი, რომ მისი წვერი აქაც ხვდეს გამგეობას. კოსტი ბაგაჟით გადმოგვიგზავნე. გამოცნობა შეიძლება შემდეგი ნიშნით: ხელში უჭირავს ზამშის პორტფელი. შეპალარებულია. უყვარს ქეიფი. ეძიე ქალებს შორის.

ტარტაროზმა გაგზავნა კოსტის შესაპყრობად თავისი აგენტი.

## საკურთხი.

ფილიპე მღვდელმა (სოფ. აბაშა) მიცვალებულს საკურთხი მიუტანა. იქვე ახლო ეეება ურთხელაზე მიაწებებული სანთელი... და საკურთხის დაკურთხების შემდეგ, სახლში წავიდა (იხ. საბალახეირუმის წერილი, რომელიც ჩვენთან ინახება). ...და მისი წასვლის შემდეგ მოხდა სასწაული: ურთხელი დაიწვა... და დროულად რომ არ მიშველებოდენ, შეიძლება სხვა რამეც დამწვარიყო...

ამისათვის მამაო ფილიპეს ხუთი თუმანი გადაახდევინეს. გულს იმით ინუგეშებს:—ხუთი თუმანი დამიჯდა და ნუ თუ მაინც აღარ აცხონებს ღმერთი?

ეჭვი ნუ გექნებათ, მამაო ფილიპე! ხუთ თუმნად ღმერთი ერთს კი არა, მეტსაც აცხონებს. ეხლა დავარდნილია ღმერთი იშკილებიდან და არა აქვს, როგორც უწინ ჰქონდა, ბევრი შემოსავალი.

## გასართობი სამკითხველო




თქვენ გგონიათ, რომ ეს ხარხარი სასადილოდან ისმის? არა... კარგად დააყურეთ,—და გაიგებთ, რომ ისმის ნახულევის (ქუთაისის მაზრა) სამკითხველოდან, სადაც გამგედ გიორგია. (ამას გვწერს „შუშუ“) ხოლო „მრავალ-



ჟამიერ“ რომ ისმის, ეს კი სასადილოდან არის; იმ სასადილოდან, სადაც

მიკიტნობას ეწევა
ჩვენი ფოსტალიონი;
ჩვენს დათიკოს ჰონია
ეს ამბავი იოლი.
სამიკიტნოშიც პატიობს
ჩვენი დათიკო მუშტრებსა...
ის ჩემთვის ამის თქმისათვის
აღარ დაშურავს მუშტებსა...

სამაგიეროდ, არც ტარტაროზი დაიზარებს მისთვის ჩანგალს.

## ახირებული თავმჯდომარე

ლაპარაკია ლეღვან-მარელისის თემალმასკომის თავმჯდომარეზე, რომელსაც ეკუთვნის ეს პორტფელი.



ზემო სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ დარწმუნდით იმაში, რომ ხსენებული თავმჯდომარე, როგორც ეს ჩვეულებადაა, არის ლოთი ან გამფლანგველი. მაგრამ შეცდებით, არცერთი ამის მსგავსი. პირიქით: ამ პორტფელში მას უდევს ხიდის გასაკეთებლად მოკრეფილი ფული, რომელსაც, როგორც ლეღვნელი გვწერს:

**1925 წლიდან ატარებს და არც თვითონ სჭამს, და არც სხვას აჭმევს. ამაზე იტყვიან: ავი ძაღლი არც თვითონ სჭამს და ჴრც სხვას აჭმევსო.**

და ჩვენც ვეთანხმებით ლეღვნელს, რომ

**თუ დროულად არ ჩამოერთვა ეს ფული თავმჯდომარეს, ერთხელაც იქნება და გადავარდება ძველ ხიდიდან (როგორც ეს ეხლა ხდება ხშირად)... და მაშინ კი მშვიდობით ჩვენო ფულო.**

## „ჯერ თავო და თავო, მერე"...

საქმე იმაშია, რომ მიშა საჭილაოელი გვწერს, თითქოს

**თვით ნოდიამ ორი ქცევა ზედ ბაქანთან ახლოს, სამოსახლოთ დაიტოვა... სხვამ თავი ქვას აჰხლოს.**

მაგრამ ნოდია უფრთხილდეს, რომ თვითონ მან არ „აჰხლოს" თავისი საკუთარი თავი ამ ქვას.

## უხერხული მდგომარეობა.

ვინ იცის, გორის რკინის გზის კლუბის გამგეს იქნებ კი გამოეკვლია, თუ რატომ არ ღებულობენ გაზეთს ხელისმომწერნი, მაგრამ ეგ საქმე აბარია სამკითხველოს გამგეს; ხოლო სამკითხველოს გამგე კი კლუბის გამგის ცოლია, და ეს გარემოება ხელს უშლის კლუბის გამგეს მოსთხოვოს სამკითხველოს გამგეს მუშაობა. ამ რაკლის თავიდან ასაცილებლად მესაფლავე კარგ წინადადებას იძლევა:

**კლუბის გამგის უხერხულ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, საჭიროა...**

და თუ რა არის საჭირო, ეს მგონი ყველასათვის მისახვედრია



მუშები: ნუ კეტავთ სამკითხველოს... გაზეთები გვინდა წავიკითხოთ.

სამკითხველოს გამგე: დღეს მე არ მცალია:— სარეცხი მაქვს.

## ქათამი-ქთამი.

სიტყვა: ქთამი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გადავარდა, მაგრამ აქა-იქ მაინც დარჩა ხმარებაში (როგორც, მაგალითად, მახხაანში, მაგრამ ამაზე ქვემოდ), საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელ სიტყვიდან წარმოსდგება. საუბედუროდ: ძველი ლიტერატურა ვერაფერს იძლევა ამ სიტყვის გამოსარკვევად და შესასწავლად. ბევრი თავი გამხმარა ამ საკითხის დაიდარაბაზე, მაგრამ ამაოდ.. მაგრამ ეხლა უკვე გამორკვეულია ამ სიტყვის ვითარება.. ეს დიდი ღვაწლი ეკუთვნის მახხაანელ ვექილს, რომელიც უწინ მღვდელი ბრძანდებოდა, მაგრამ მღვდლობა მიატოვა, რადგან მასში ხეირი აღარ იყო.

ჰო-და, ამ ვექილმა, კონდრატემ (მისი სახელია) თავისი უშუალო ცხოვრებიდან და მაგალითებიდან გამოიკვლია, რომ სიტყვა ქრთამი წარმოსდგება სიტყვიდან— ქათამი.



და თუ დღეს მასთან გლახს ბატი მიჰყავს, რათა კონდრატემ თხოვნა დაუწეროს, ეს არ ლაპარაკობს მისი გამოკვლევის წინააღმდეგ. პირიქით: ყველა შინაური ფრინველი ეკუთვნის სულდგმულთა ერთს კატეგორიას.

პირველად კონდრატემ თხოვნის დაწერისათვის გასამრჯელოდ „ფეშქეშად" ქათამი აიღო და აი, ამ შემთხვევიდან, აი აქედან იწყება ქრთამის განვითარების ისტორია და მისი წარმოშობა.

მართალია, როგორც ზემოდ ვსთქვით, დღეს გლეხებს მასთან მიაქვთ ინდაურები, ბატები, იხვები და იშვიათად ქათამი, მაგრამ,—აქაც კიდევ ვიმეორებთ,—ეს არ არღვევს მის გამოკვლევას.

აქ ბუნებრივობაა; სრულიად დაცულია დარვინის ევოლიუციის თეორია. პირვანდელი ქათამი გადაიქცა შემდეგში იხვად, ბატად, ინდაურად და ასე... ცხადია, გლეხს რომ ყოველთვის ქათამი მიეტანა მისთვის, საქმეს არ გაუკეთებდა. ყოველთვის ქათმის ხორცის ჭამა მობეზრდებოდა პატივცემულ ვექილს... და ამიტომაც სხვადასხვა ჯურის ფრინველები მიჰყავთ გლეხებს კონდრატეს ოჯახში.

თქვენ იტყვით: კი, მაგრამ რატომ გლეხები ვერ მიხვდენ ამას? მისი თხოვნა ხომ ვერაფერს აკეთებს მაინც?

მართალია, ვერაფერს აკეთებს, მაგრამ აი ამ შემთხვევაში კონდრატე როგორ იქცევა; მოვუსმინოთ „არ დამიტიროთ"-ს:

უყურეთ რა ჰქნა ჩემ თხოვნამ!?
ღმერთმანი ვარ „მაცლაღჩინა"!
ხუთი წლით ციხე რა არის!?.
დახვრეტას გადაარჩინა...

და გლეხებსაც ასე ჰგონიათ: თუ არა კონდრატე, ბრალდებულს მეტ სასჯელს მისცემდენო.

ეს კაცი არ არის მოსაცდენი კაცი... ამიტომ ტარტაროზის წინადადება იქნებოდა, რომ მისთვის „მეცნიერულ გამოკვლევებისათვის" მიეცეს მადლობა ბინა. ტარტაროზი შუამდგომლობს გამსახლის წინაშე, როგორმე მოუხერხოს ამ უკანასკნელმა პატივცემულ ვექილს მყუდრო საცხოვრებელი. სადაც იგი (ალბათ) დასწერს შრომას, თუ ქათამს (ქრთამს) როგორ მიჰყავს „მოქალაქე" გამსახლში.

# „ტყისმცველი“

ძეელ, გამოცდილ ტყის მცველს დაუნიშნეს ახალგაზრდა თანაშემწე.

ახალგა'ზრდა აუტყდა:—წავიდეთ, ენახოთ ტყე, ყური ვუგდოთ, იქნებ სჩეხენ, იქნებ ჰკაფავენ, იქნებ ცეცხლს უკიდებენო.

დიდი და შემაწუხებელი ჯიუტობის შემდეგ, ახალგაზრდამ დაიყოლია ძეელი და წავიდნენ ტყეში.

როცა კარგა მანძილზე შევიდნენ, ტყის სიღრმეში მოესმათ ხის კაკუნი.

— აგე, აგე, გესმის?., ხესა სჭრიან!—უთხრა ახალგაზრდამ.

— სად არის ეგა?—იკითხა ძეელმა.

— აი აქეთ, აქედან მოდის ხმა, აბა წავიდეთ.—სთქვა ახალგაზრდამ და გაუტია იქით, საიდანა/ა ჭრის ხმა ისმოდა.

— მაანდ ნუ მიხვალ.—მიაძახა ძეელმა.

— რატომ?

— იმიტომ რო იქა სჭრიან. აქეთ წავიდეთ, აქეთ არა სჭრიან.

— ვერაფერი ვერ გამიგია!?—გაიკვირა ახალგაზრდამ.

— რა ვერ გაგიგია: არ იცი რომ ჭრის დროს მისვლა არ შეიძლება? აი როცა მოსჭრის და შინ ჩაიტანს მოჭრილს, მაშინ მივიდეთ, ენახოთ მონაჭერი და ოქმი შევადგინოთ.

— მერე რაღას იპოვენი მომჭრელსა?

—აი სწორედ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ვერ ვიპოვნოთ, თორემ რით იცხოვროს გლეხმა.

ახალგაზრდა დაფიქრდა და ბოლოს იფიქრა, ალბად ასე უნდაო და განაგრძეს გზა სხვა მხარეს.

ერთ გლეხს ნახევრამდე მიეყვანა ერთი დიდი, სამორე ხე და ისვენებდა. სწორედ იმდროს, როცა იმ ხეს მიადგნენ, მაშინ განაახლა გლეხმა ჭრა.

— აი დასწყევლოს ღმერთმა, მაინც არ წავადექი ზედა?!—იწყინა ძეელმა... და მართლაც უხერხული იყო გვერდის აქცევა.

— რასა სჭრი თემხო?—გადასძახა ზევიდან ძეელმა „ტყის მცველმა“.

— სახრეს, შენი ჭირიმე.—მიუგო მასხრობით გლეხმა და „მცველმაც“ გლეხის მოსწრებულ პასუხზე მიაძახა:

— მოსჭერ, მოსჭერ, დავარდნილი ხარები გყავს, კაი გარეკვა უნდაო.

„მცველი“ და თანაშემწე დაბრუნდნენ სოფელში, და კვირა დღეს გაიარეს ბაზარში, სადაც აქა-იქ გლეხები პურღვინოთი „ნაყრდებოდენ“.

დაინახეს თუ არა „ტყის მცველი“, გლეხებმა ასტეხეს აქათ-იქიდან.

— „მცველო აქმო... მცველო მობრძანდი... მცველო მიირთვი... მცველო დაბრძანდი... მცველო გენაცვალე... მცველო ამ ტყეს ჯერ შენისთანა მცველი არ უნახავსო“..

ახალგაზრდა მიჰხვდა რაშიაც იყო საქმე... და ისიც მადიანად შეექცეოდა სუფრას.

ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.






[illegible]
მალ-ალანი რაღა არის. რომ კიდევ არშინობით იზომება?

## მასწავლებლის [illegible]

კელ წელს იცვლის სახეებს სკოლა;
ავლის მეთოდი მრავალგვარია.
ძათ შორის არის ძუდმივი ბრძოლა,
არ ვიცი რომელს მივსცე მხარია.
დიუის მეთოდი ბევრჯერ ვიწამე,
არ აუხვიე დალტონსაც გვერდი;
ულობერს, მონტერსორს თვითონ ვეწამე,
ძათ შევაცვითე გული და მკერდი.
კერბენშტეინერს ვერ მივეკარე;
ბლონსკით ახალ გზას მე დავადექი..;
კომპლექსით ბევრი ცრემლი დავღვარე...
(მან გამიჩინა მგონი მე ჭლექი).
ამერიკულიც გვიან გავიგე...
რომელი ერთი გამომადგება!?
ეთოდი სწავლის ერთმანეთს სცვლიან,
თვის კალაპოტში როდის ჩადგება?!.
ყოველს ზაფხულზე კურსებზე ვზივარ,
მუდამ მოველი ადვილ სწავლებას;
ვისმენ ლექციებს, ყველგან დავდივარ,
სულყველგან ვხედავ ჩემს გაწვალებას.
გადვემზადები..., მახსოვს ყოველი,
კომპლექსიც აღარ გამიჭირდება..
მაგრამ როდესაც სწავლას დავიწყებთ,
სულ სხვა მეთოდი ამიხირდება...
როცა კლასში ვარ—კომპლექტზე ვფიქრობ.
მძინავს თუ მღვიძავს ის მაგონდება;
ვერც თავს მიუგენ, და ვერცა ბოლოს,
გაუგებრობით გული ღონდება.
როგორ მოვიქცე ვერ გამიგია!..
ცოდნა ბავშთათვის არ მეშურება.
ჩემი ეს ყოფნა მათ რომ გაიგონ
ისინი აღარ დამემდურება.

ხაშურელი შმაილა.




**გაზაფხულზე როცა წყალი გათბება, ევილებ ფეხსა და ჩავარდები შიგ.**

თქვენმა წერილმა დაგასწრო... ის უკვე ჩავარდა უფსკერო გოდორში. ნუ იდარდებთ; იქ საკმაოდ თბილა, ასე რომ წერილი არ გაცივდება.

**პუპკას.** თქვენი „**აზნაურიშვილი**", როგორც თვითონ თქვენ ამბობთ, **რომ:**

„ფეხებზე გაიხადა. თავს ქვეშ შემოიდო და ხვრინვა ამოუშვა... ვილაცამ წიხლი ჰკრა:

— **ფეხები რომ ასე საძაგლად გიყარს, ფეხსაცმელები მაინც ჩაიცვი...**

აი ერთად-ერთი „არომატი" თქვენს ასე გრძელ წერილში. ეს „არომატი" ისევ იმ „აზნაუ(?)შვილს" ჰქონდეს, და წერილი კი გოდორში გადავგზავნოთ. სხვა ადგილი მაინც არ ეკუთვნის არც თქვენი წერილის გმირს და არც თვით წერილს.

„**გიზს**" აჰა, ავასრულეთ თქვენი სურვილი.

## მუშფაკში

— **მასწავლებელო ძალიანი სუსტი შუქია და წერა გვიძნელდება.**

— **მოითმინეთ, და როცა ზაჰესი დაიწყებს მუშაობას, ალბად შუქიც მოიმატებს.**

— **თქვენ ძალიან უსუფთაოდ სწერთ.**

— **მოითმინეთ, მასწავლებელო, და როცა ზაჰესი დაიწყებს მუშაობას, ალბად კარგად დავსწერ.**

ჩვენ კი არ გვაქვს მაგის იმედი, რომ თქვენ მაშინ კარგად დასწერთ.., და, თუ კაცი ხართ, აწი ასეთი წერილით თავს ნუ მოგვაბეზრებთ.

„მელა-კუდას" (შორაპანი): გვწერთ კინო-სურათი „გაფლანგვა"-ზე:

**მე ვუყურე ამ სურათს**
**და გავფლანგე ფულები**
**ნეტა სულ არ მეყურა,**
**არც მტკენოდა თვალები.**

კი მიხვდებით წერილის ხვედრს.

ალგიბას: შარადის შარადა არა ღირს არადა.
რასაც აწ აპირებ ბარემ სთქვი ჩქარადა.

კურკანტელს. ჩვენჯერ არ ვიცით თუ:

**ლევარსი როხროხაძემ გამოაცხადა კატების მობილიზაცია, რათა ჩიტებს გაფრთხილება მისცეს არ დაჯდენ ზაჰესის მავთულებზე, რომლებიც (ჩიტებისათვის) ხასიკვდილოა.**

ჰო-და როცა გავიგებთ, მაშინ დავბეჭდავთ თქვენს წერილს, ხოლო ჯერ-ჯერობით ასეთ წერილებს თვითონ ჩვენ ვუშვრებით მობილიზაციას უფსკერო გოდორში გადასაგზავნად.

**ლარინელ ჟორას.** მეტის-მეტად გრძელია თქვენი

## მოისარობა

და ამიტომაც რამოდენიმე უფრო შესანიშნავი ადგილები ამოვიღეთ, თორემ ისე არ მიიღებდენ უფსკერო გოდორში. აი ეს ადგილებიც:

**ამ დღეს ხდება ცოდვა,**
**იქით აღარ მოდვა,**
**მთვრალი კაცის ბოდვა,**
**კისერში დანის მოდვა**
**ქუვირის გოჰი, ბლავის ხბო,**
**იხვი, ბატი ვარია...**
**ვაჰარს ის უხარია**
**თუ კი ამ დღეს დარია.**
ჰაგ თქვენ თავში გონება
ნეტავი რამ არია?

ჩაქველ ხვლიკს (ჩაქვი). თქვენი წერილიც გადავგზავნეთ გამსახლში (უვარგისს და გაუსწორებელ წერილებისათვის ჩვენც გვაქვს გამსახლი, ანუ უფსკერო გოდორი).

ილვიძებს (ხიდისთავი). მერე თქვენ რა გინდათ, თუ:

**თქვენი შვიდწლედის გამგეს**
**ჰყავს სქელი ცოლი სონა;**
**წარმოკავშირის წონით**
**შვიდი ფუთია წონა...**

თქვენს წერილში ათი ფუთი აბდა-უბდაა, რომელსაც ჟურნალის ფურცლებზე ადგილი არ მიეცემა.
არც ის არის გასაკვირი, თუ:

**შემობრძანდით და დაბრძანდით,**
**ქმარი არ მოვა ჯერე.**
**იმას არ მოსწყინდება**
**„ოცდაერთი" და „ჩერე".**

მაგრამ, თუ კი:

**ძლიერ ზარალობთ ხალხი,**
**გემტვრევა ღამით დაფა.**

გირჩევთ:

**ამ გამგის მოშორებას,**
**არ უნდა დიდი ჯაფა.**

**ზიპლიკიკოს.** თქვენი „**უკანონო**" წერილი ასე თავდება:



# უკვე დაიწყო

## 1927 წლისათვის გაზ. „მუშა“-ზე

# ხელისმოწერა

ყველა შეგნებული მშრომელი უნდა იწერდეს, კითხულობდეს და ავრცელებდეს თავისი ინტერესების დამცველ და გამომხატველ გაზ. „მუშა“-ს

ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი

## „ტარტაროზი“

არის გაზ. „მუშა“-ს უფასო დამატება

ჟურ. „ტარტაროზი“ პირველ იანვრიდან გამოვა გაუმჯობესებული ტეხნიკით და შინაარსით

საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორას აქვს თავის განყოფილებები, სადაც მიიღება

1927 წლისათვის გაზ. „მუშა“-ზე ხელისმოწერა

## გაზ. „მუშა“ ჟურ. „ტარტაროზი“-თ ღირს

| | | |
|---|---|---|
| | კოლექტიურ ხელისმომწერთათვის | ინდივიდ. ხელისმომწერთათვის |
| 1 თვით | 80 კ. | 1 მ. |
| 3 ,, | 2 მ. 30 ,, | 2 ,, 85 კ. |
| 6 ,, | 4 ,, 40 ,, | 5 ,, 50 ,, |
| 1 წლით | 8 ,, 50 ,, | 10 ,, 50 ,, |

ამთავითვე იზრუნეთ გაზეთის გამოწერისათვის

კანტორის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 6.

აღმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ. № 68. ელსმენი № 11-38.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 80 კვირა, 26 დეკემბერი 1926 წ. № 80



მარიამი: მე იოსებისაგან ვთხოულობ მხოლოდ ალიმენტს. მე არ მინდა მისი ცოლობა. მაგაზე უკეთეს ბიჭს გავყვები ცოლად.

(იხილე მეორე გვერდზე წერილი).

# „ა ლ ი მ ე ნ ტ ი“

**ახალი აღთქმის დროინდელ სასამართლოს არქივიდან**

ბევრს ჰგონია (და ჩვენც ასე გვეგონა სამამ ქვემოდ მოხსენებულ ამბავს წავაწყდებოდით), რომ „ალიმენტი“ ეს თანამედროვე, ჩვენი დროის მოვლენაა; იგი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებული კანონია და მას არავითარი კავშირი არ ჰქონებია ოდესმე მახლობელ და შორეულ წარსულ ცხოვრებასთან.

მაგრამ ეს ასე არ არის.

ჩვენ შევეძლო ძველი აღთქმის და ბიბლიურ ეპოქაში გადავშევებულიყავით და იქიდან ამოგვეკრიფა უამრავი ფაქტები მაშინდელ „ალიმენტი“-ს შესახებ, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა;—და, მოგეხსენებათ, ეხლანდელი რკ. გზით მგზავრობა არა თუ შორეულ მანძილზე, არამედ ტფილისიდან ბათომამდიც სახიფათოა. ამას რომ თავი დავანებოთ, დღეს არც თქვენ და არც ჩვენ გვცალია ამისათვის, იმიტომ რომ დღეს შობაა და, აჰა, გაიხედეთ: როგორ კოხტად არის გაწყობილი ყოველგვარ საჭმელ-სასმელით სუფრა რომელსაც არ შორდება არც ერთის ჩვენთაგანის თვალები და იმის მოლოდინში ვართ, თუ როდის მიგვიპატიჟებს მასპინძელი სუფრაზე.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მაინც არ წავალთ ძალიან შორს, და დღემანდელ დღესასწაულთან შეფარდებით მოვიყვანთ ფაქტს იმ დროიდან, საიდანაც იწყება ახალი აღთქმა და თანამედროვე ერა, ე. ი. ქრისტეს შობიდან.

—

თუ რას ნიშნავს „ალიმენტი“, ეს მგონი ეხლა „საბედნიეროდ“ ყველა ჩვენთაგანმა ვიცით. იშვიათია ისეთი მამაკაცი, რომელმაც უშუალოდ არ იცოდეს „ალიმენტი“ და არ ეგემოს მისი „სიტკბოება“ ჯამაგირის გამესამედებით. ამგვარად, ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ სიტყვის განმარტება. (ესეც რომ არ იყოს, იქნებ ჩვენი მკითხველი „დაჩაგრული კაცია“ „ალიმენტებისაგან“ და გახსენება არასასიამოვნო იქნება მისთვის. ჩვენ ძალიან ვუფრთხილდებით მკითხველის სულიერ განწყობილებას).

ყველა ამის შემდეგ ნება გვიბოძეთ პირდაპირ გადავხტეთ და წერილის დანიშნულებას შევეხოთ.

ამხ. ტარტაროზი ამ ბოლო ხანებში მეტად გაიტაცა (როგორც ჩვენი გამგე მემანქანე ასულმა), სალვთო წერილების კითხვამ. ეს გარემოება მთელ რედაქციას გვრიდა შიშს და ეჭვს:

— ვაი თუ ამხ. ტარტაროზი ღვთის მორწმუნე გახდა! მაგრამ ჩვენი სასოწარკვეთილება არ გამართლდა. გუშინ საღამოთი ამხ. ტარტაროზმა დამიბარა და მიბრძანა „ტარტაროზი“-ს ფურცლებზე დამებეჭდა ის, რასაც თქვენ აი აქვე ქვემოთ წაიკითხავთ.

## ღვთის სასამართლო

**გაუპატიურება**

გუშინ მამა ღმერთის თავმჯდომარეობით ზეციერ ოლქის სასამართლომ გაარჩია ობოლი მარიამის მოხუც იოსების მიერ გაუპატიურების საქმე.

ბრალს სდებს მთავარი ანგელოზი (იგივე პროკურორი) გაბრიელი. ბრალდებული თავის თავს თვითონ იცავს.

**(სტენოგრაფიული ანგარიშიდან)**

**(შთაბეჭდილება:** დაზარალებული სრულიად ახალგაზრდა ქალია. მის სილამაზეს კიდევ უფრო ამშვენებს სირცხვილის სიწითლე, რომელიც ვარდის ფოთლებივით დაპეპლებია მის რძისფეროვან სახეს. ხელში ბავშვი უჭირავს. ბავშვის სახელია ქრისტე).

## დაზარალებულის სიტყვა

ჯერ კიდევ რვა წლის ვიქნებოდი, როცა დედ-მამა დამეხოცა. სხვა რომ არავინ იყო ჩემი პატრონი, მე წამიყვანა... (დაზარალებული გადახედავს ბრალდებულ მოხუც იოსებს)...

**მამა ღმერთი:** განაგრძეთ, [illegible] ნიათ. აი სწორედ ეს გვაინტერესებს ჩვენ, თუ როგორ მოხდა...

**დაზარალებული:** მე არც კი ვიცოდი თუ ორსულათ ვიყავი... სიზმრად მადგა... თითქოს სიზმარში ვიყავი... ის კი არა, ვცდილობდი არ გამღვიძებოდა, რომ ეს მშვენიერი სიზმარი კიდევ გაგრძელებულიყო... ვაი უბედურ ჩემს თავს,—თურმე ვილუპებოდი... დიახ- რამოდენიმე ხნის შემდეგ შევატყვე, რომ მე ფეხ-მძიმეთ ვიყავი... ბავში მყავს... მე როგორ შემიძლია მისი გაზრდა და რჩენა...

**მამა ღმერთი:** ეხლა რას თხოულობ: გინდა ჯვარი დაიწეროს შენზე თუ...

**ბრალდებული** (მოუთმენლად წამოვარდება): პოჯაქალუსტა, დავიწეროთ ჯვარი, გამომყვეს ცოლად და დიდი სიამოვნებით ვარჩენ.

**მამა ღმერთი:** (ზარს რეკს) თქვენ სიტყვა თავის დროზე მოგეცემათ; დაეგდეთ მანდ.

**ბრალმდებელი:** (მთავარი ანგელოზი გაბრიელი სარკაზმით) ჰმ! გამოყერყეჩებული ბერიკაცი ახლა მოვიდა იშტაზე: ეს ახალგაზრდა ქალი უნდა ცოლად.

**დაზარალებული:** მე ვთხოულობ სარჩოს—ალიმენტს; ცოლად გაყოლა არ მინდა.

**ბრალდებული იოსები** (კიდევ ვერ მოითმენს და წამოხტება): ვერ მოგართვი ბადრიჯანი... უყურეთ რას ამბობს?! (ღმერთი ზარს რეკს. იოსები მწყნარდება).

## ბრალდებულის სიტყვა

მოწყალეო მოსამართლენო მე არ ვუარობ, რომ ეს ქალი მე გავაპატიურე და ბავში, რომელიც მას ხელში უჭირავს, ჩემი შვილია. არა, ამის უარება სისულელე იქნებოდა. მე თანახმა ვარ ვუპატრონო მათ მხოლოდ იმ პირობით თუ ის ქალბატონი ამიერიდან ჩემთან იცხოვრებს.

**დაზარალებული:** არასოდეს. შენ სარჩო ჩამოდე და ქმარს მე კი ვიშოვნი.

**ბრალდებული:** ჰო, უყურეთ! კარგია შე ნუ მოიკვდე, მე საწყალმა დურგალმა, მოხუცებულმა კაცმა თუ რამე ვიშოვნე, იმას მიართვი; ის კი სხვა ქმარს იშოვნის. არა, მაგრე მე არ მცალია. გინდა რჩენა? [illegible] და ვიცხოვროთ ერთად.

მოსამართლენო, როგორ შემიძლია დავაკმაყოფილო მისი მოთხოვნილება. მე ხომ ამიერიდან, რაკი ვიგემო მიწიერ ცხოვრების სიტკბოება, უცოლოდ ყოფნა აღარ შემიძლია... სხვა ქალი რო შევირთო, რით ვარჩინო იგი. თუ-კი ჩემი სარჩენი იქნება მარიამი თავისი ბავშით?! ამიტომ, მე ვთხოულობ: ჩემს თხოვნასაც მიაქციოთ ყურადღება განაჩენის გამოტანის დროს და ისეთი განაჩენი გამოიტანოთ, რომ არც წვადი დასწვათ, და არც შამფური. მხედველობაში უნდა მიიღოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბოროტმოქმედება არ მომხდარა წინასწარი განზრახვით და ძალდატანებით.

**ბრალმდებელი:** სასამართლოს ვსთხოვ ბრალდებულმა გვიამბოს, თუ როგორ მოხდა გაუპატიურება.

**ბრალდებული:** მაშ ნება მიბოძეთ დაწვრილებით გიამბოთ.

როგორც თვითონ დაზარალებულმა სთქვა, იგი ჩემთან თითქმის პატარაობიდანვე იზრდებოდა; შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ხელში გაიზარდა. მე მიწიერი ცხოვრება დაგმობილი მქონდა და საიქიო ცხოვრებისათვის ეზრუნავდი სულის წმინდათ შენახვით. მე მივატოვე ყველაფერი და განდეგილსავით ვცხოვრობდი ყრუ ალაგას, სადაც დურგლობას ვეწეოდი. არა ვიცოდი რა ხორციელი ცხოვრებისა და ნეტარებისა... და მხოლოდ ერთხელ... ოი, წყეულიმც იყოს ის დღე... მე დავინახე მარიამი ჩანჩქერში ტანს ბანაობდა დედისშობილად. მაშინ იგი ხუთმეტთექვსმეტი წლის იქნებოდა. მე ვუყურებდი მას მამაშვი-

ზარდა. მერწმუნეთ: ბოროტ აზრს ჩემში არ გაუვლია... მაგრამ, აჰა მარიამ ჩანჩქერიდან ამოვიდა და ქვიშაზე გაწვა მზის ვანების მისაღებად. (სამართლოს შემადგენლობას ვნებიანად აზმორებს და მარიამს უცქერენ). თითქოს მისმა ტანმა ქვიშას სხეულის შეხებით ელექტრონის ტოკი გადასცა, მიწამ, როგორც ელექტრონის გამტარმა, ჩემს ტანს შეუერთა ტოკი ფეხებიდან თავამდი. დიახ! მუხლები ჩამეკეცა და შემერყა თავში ტვინი. მგონია გავგიჟდებოდი, მაგრამ თავში ბევრი ტვინი არა მაქვს როგორც მოხუცებულ კაცს—და ალბად ამან მიხსნა გაგიჟებისაგან.

მიდიოდენ დღეები... მე ხანდახან გამიხიცინებდა რაღაც ეშმაკი ტანში...

და ერთხელ ღამით, როცა მიდამო ღრმა ძილში იყო. მთის სიავიც კი არ ჩამორბოდა ბარში— -ჩამოსძინებოდა მთების კალთებზე,—ძილი დამიფრთხო უდუმალ ხმაურობამ, თითქოს ყურებთან რაღაც ფრინველმა ფრთები შემოჰკრა... ალბად ბოროტი სული იყო... გამომეღვიძა. პირშადრი მთვარე მიჭედილიყო ცის ლურჯ ტატნობზე და თითქოს უძრავიაო, დასცქეროდა მძინარე მარიამის მოღუღილ გულმკერდს, რომლის ზედაპირზე აზვინულიყო ორი ბორცვი...

მოსამართლენი (ვნებით აღელვებულნი): მერე მერე...

ბრალდებული: მე წამოვდექი. „არ გაცივდეს-თქო" გავიფიქრე და მივუახლოვდი საბანის დასახურად. ვით ტბის ნელი ღელვა, ისე აიწევ-დაიწევოდა მისი გულმკერდი და ზედ ორი ბორცვი... გავქვავდი... ისევე დამკრა კიდევ უფრო მძლავრად როგორც ქვიშაზე დანახვის დროს... ნაცვლად იმისა, რომ ნახევრად გადახდილი საბანი გადამეხურა მისთვის და დამემალა ქვეყნიური სილამაზე, მე საბანი კიდევ უფრო გადავხადე...

მოსამართლენი (კიდევ უფრო ვნება აშლილნი და აღელვებულნი) მერე... მერე... სთქვი ბარემ... მოვკვდით ამდენი ცდით...

ბრალდებული: შემდეგ არც მე მახსოვს კარგად... მხოლოდ ეს ვიცი, რომ გონება-დაკარგულმა ისე დავეძგერე და მოვხვიე ხელებში, რომ ასე მეგონა ჩვენ ერთ არსებად გარდავიქენით და ორივემ ერთად გადავეშვით სულ სხვა ქვეყანას, საიდანაც მოსჩანდა მსოფლიო სულ სხვა ფერადებში...

ღმერთი (ვნება-მორჯული ველარ მოისმენს): იოსებ, კმარა... გეყოფა, თორემ გავგიჟდი... ცივი წყალი მოიტათ... სხდომას ხუთი წუთით შეწყვეტილად ვაცხადებთ...

## მეორე სხდომა

### ბრალმდებელის სიტყვა

...მაშასადამე მტკიცება იმისა, რომ ძალდატანებით და წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია ბრალდებულს ბოროტმოქმედება, უსაფუძვლოა.

ღმერთი (თავისთვის ჩაილაპარაკებს ბრალდებულის მისამართით): შე ყურუმსაღლო, მაჭანკლად რომ გაგაზავნე, მაშინ ამოგელო მაგი საძაღლე ენა თუკი მაგრე გრძელი გქონდა?

### ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა

**ღმერთი:** აბა, რას სთხოვთ სასამართლოს და რა არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

**ბრალდებული:** მე გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და გაითვალისწინოთ ყველა ის გარემოებანი, რომლებშიაც მე ვიმყოფებოდი. გთხოვთ სასტიკ განაჩენს ნუ გამოიტანთ. მე აწი მინდა სიცოცხლე, რაკი გვიან ვიგემე მისი გემო. მე ვარ ერთი მარტოხელა დურგალი, მოხუცებული კაცი. ალიმენტის გადახდა მე არ შემიძლია. ცდება დაზარალებული. როცა ფიქრობს, რომ თვიურად თორმეტ თუმანს ვაკეთებ. ერთი სასადილო მაგიდა არ გამიყიდია ამ წლის განმავლობაში. „ლესოტრესტმა" ყველგან გახსნა სახელოსნოები და ჩვენ სამუშაო წაგვართვა. ვაკეთებ სამფეხა ხის სკამებს, რომელსაც გასავალი არა აქვს. ეს თვითონ დაზარალებულმაც კარგად იცის...

„იტალიაში ფაშისტები აპატიმრებდენ მეფეს, ამ ამბის შესახებ მუსოლინმა ყველა ფერი იცოდა".

## ᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲡ



ნუ გეშინია, ჩემო ძვირფასო...
და დაიმშვადე პატარა გული;
კარგად იცოდე, გჯეროდეს მუდამ,
რომ სხვა არა გყავს ჩემებრ ერთგული.

## ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

ღმერთი... მაგრამ მიიღო რა მხედველობში, რომ სასამართლო ადგენს: ბრალდებულს მიესაჯოს სოციალური თავდაცვის... უმაღლესი ზომა—დახვრეტა...

ბრალდებული: ვაიმე... ერთმა ღამემ დამღუპა...

ღმერთი... მაგრამ მიიღო რა ხედველობაში, რომ ბრალდებული სოციალურად ღარიბია, ხელოსანია... და აგრეთვე ის, რომ ბრალდებული ჯერ არ ყოფილა პასუხისგებაში და ეს ბოროტმოქმედება ჩადენილია მის მიერ პირველად... აგრეთვე ის გარემოება, რომ სულ სხვა პირობები იყო მის გარშემო, რომელი პირობებიც ყველას შეაცდენდა არა თუ ადამიანს, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში არც გაუფიქრებია სიმრუშე, ხოლო ეს ერთი, შესაძლებელია ცდის სახით მოახდინა, მაგრამ შემდეგში [illegible] ვერ შეიმაგრა როგორც მიწიერმა ადამიანმა... აგრეთვე ის გარემოება, რომ დაზარალებული არც ისე დაზარალებულია, რომ მას მისცემოდა რაიმე ნაკლულოვანება, რითაც იგი დაჩაგრული იქნებოდა ცხოვრებაში,—სასამართლო ადგენს: მოხუც იოსებს, ხელობით დურგალს უმაღლესი სასჯელი შეეცვალოს ათი წლით ციხით სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ამნისტიების შეფარდებით სასჯელი ჩაეთვალოს პირობითად და განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისაგან.

ისელი.

# დღიურიდან

დღიურ სიცხადით
შეწუხებულმა
წარსულისაკენ
ვიბრუნე პირი
ტყუილს არ ვიტყვი
არ ვარ ორპირი.
მე მომაგონდა
ახალგაზრდობა,
ყველა დღეობა:
აღდგომა შობა...
მინდა აღვწერო
ნაგრძნობ, ნახული
თუ გინდ გამიწყრეს
„მამა“ ხახული.
მაშინ მე ვიყავ
ბავში პატარა
როს მიხაროდა
შობა, აღდგომა,—
და ამ დღეებში
ადრე ადგომა,
ნამარხულევსა
ხორცით გაძღომა.
და თან ვფიქრობდი!
გამაგებია
მაინც არაკათ:
ვინ იყო ქრისტე
ღორებს რომ კლავენ
მისთვის ზვარაკათ?
—ჩემო ბებიკო,
ქრისტე ვინ იყო?
მითხარი ერთი,
თუ კი გრწამს ღმერთი
—ნუ შთახვალ, შვილო
ღვთისა გმობასა
და ნუ ჩაიდენ
უგნურობასა,
მე შენ გიამბობ
ქრისტეს შობასა:
„მარიამ იყო
ქალი ქალწული
არც ქმარი ჰყავდა
და არც მული,
არა იცოდა
მიწის და ცისა
და არცა ვნება
მამაკაცისა.
გათხოვება მას
სულ აღარ სურდა,
უმამაკაცოთ
ის დაორსულდა;
მაშინაც იყო
ხალხი უგნური:
ბევრი ამბობდა,
რომ იოსები
მარიამისა
იყო მიჯნერი...
(ზებია ბაგლზე
მოადგა ჯავრი
და გბდისაბა
შეწუხდა მართლა,
ასტკივდა ისა
და მან დაბადა
კაცი ძე ღვთისა.
ოცდაათისა
რომ გახდა ბავში
შეიქნა იგი
დიდი სწავლული
ქალაქ: კანას. და
გალილეიას
მან ჰ-ახდინა
ბევრი სასწაული:
გააცოცხლა
ბლომად მკვდრები
გადაიკიდა
ამით მან მტრები
(ეხლაც კი ხდება
ესე ამბები,
რასაც ამტკიცებს
წალკის „მამები“)
ანა და კაიაფა
პური და თევზი
გააიაფა;
ან რატომ გიკვირს
კვიცი ხტის გვარზე
იესო ქრისტე
მათ აცვეს ჯვარზე
—ეხლა მითხარი,
ბებია ჩემო,
რის მაქნისია
ეს „მამა“ მღვდლები
ტყავს, რომ გვაძრობენ
როგორც რომ მგლები.
რატომ არიან
სხვის ნაოფლარით
მუდამ მსუქანი?
სულით ვაჭრობენ;
ეკლესიაში
გახსნეს დუქანი.
საიქიოში
დააცურავენ
ოცნების ნავსა;
დასამარხავი
მიაქვთ „ნალოგი“;
სასალდათოსთვის
მზად აქვთ „პადლოგ
და თუ დაბადა
აქ ვინმე ვაჟი
მას რატომ ხდება
მღვდლისაგან ბაჟი??
ჩემი კითხვები
ბებია ჩემსა
ვხედავ ეწყინა
და მუსაიფში
მას ჩაეძინა.

კაკოს ბიძა.

# თვალთა ხედვა



ბამბე (რომელსაც სიმთვრალის გამო ყველაფერი ერთი ორად ეჩვენება): ეს რა ამბავია, რომ ყველა კართან ორ-ორი დარაჯია?! ეს სადაური რეჟიმ-ეკონომიაა? ერთ-ერთი თქვენგანი ხვალიდანვე მოხსნილი იქნებით სამსახურიდან.



# ფასი სამი შაური

ჩვენ შეგვეძლო ეს წერილი არ დაგვეწერა; ეს უდავო ჭეშმარიტებაა- ისიც შეგვეძლო, რომ დაგვეწერა, მაგრამ ან არ დაგვებეჭდა, ანდა თუ დავბეჭდავდით, დაგვებეჭდა მომავალ ნომერში...

მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით; არ ვქენით იმიტომ, რომ არ გვინდოდა რომ გვექნა.

ეს წერილი ნაჩქარევია; ნაჩქარევი იმ მხრივ, რომ ამბავი ეხება შემდეგ ნომერს, რომელიც გამოვა ახალ წელიწადს.

მაგრამ ჩვენ საჭიროთ და მიზანშეწონილათ ვსცანით, რომ ამ ნომერში დაგვებეჭდა ეს წერილი...

და მიზანშეწონილად ვსცანით, აი რატომ:

უკვე დაწყებულია გაზ. „მუშა"-ზე და ჟურ. „ტარტაროზ"-ზე ხელისმოწერა როგორც შემდეგი თვისათვის, ისე მთელი შემდეგი წლისათვის.

გაზ. „მუშა" თავისი „ტარტაროზი"-თ ღირს თვეში 80 კაპ. ხოლო რადგანაც ოთხმოცი იქნებ ვინმეს საშიშარ რიცხვად მიეჩვენოს, მას შევუმცირებთ და ოთხმოცი (კაპ.) ნაცვლად გაზეთს და ჟურნალს დავუთმობთ ოთხ აბაზდ.

ამის შემდეგ რაღა სათქმელი იქნება მას, ვინც გაზეთს არ გამოიწერს?! არაფერი.

„ტარტროზი" იანვრის ნომრიდან ეღირება 3 შაური (დიახ!ნაცვლად ორი შაურისა). ამიტომ, ვინც ანგარიშის კაცია და რეჟიმ-ეკონომიას იცავს, იგ იასე იანგარიშებს:

„მუშა" თავის „ტარტაროზი"-თ ღირს... 80 კაპ. გაზეთი რომ არ გამოვიწეროთ „ტარტაროზი" ხომ მაინც უნდა ვიყიდოთ?! მაშასადამე: თვეში ოთხ ნომერს (და ხშირად კი ხუთიც არის, როგორც მაგალითად იანვარში) დასჭირდება 15 კაპ. ×4=60 კაპ. (ხუთკვირიან თვეში კი 75 კაპ). ამგვარად: გაზეთის ღირებულებათ რჩება 20 კაპ. ამაზე უფრო იაფი არაფერი არ შეიძლება.

თქვენ ასეც შეგიძლიათ გამოიწეროთ მარტო „ტარტაროზი", რომელიც თვეში ეღირება ოთხი აბაზი და გაზეთ „მუშა"-ს უფასოდ მიიღებთ. „მუშა" და „ტარტაროზი" ორპიროვანი ერთარსებაა; მათი დაშორება შეუძლებელია. რომელიც გინდა... ...ამოიწერეთ, ხოლო გადაიხადეთ ... ივეს მიიღებთ.

...ატება ეს რისი მაქნისიაო?

... საგომ მაინც ვიტყვით. „ტარტაროზზე" ფასის მომატება მხოლოდ და მხოლოდ თავმოყვარეობის საკითხია და სხვა არაფერი.

და თავმოყვარეობა კი შემდეგშია:

საბჭოთა კავშირში (და მით უფრო უცხოეთში) არ გამოდის არც ერთი იუმორისტული ჟურნალი, რომელიც სამ შაურზე ნაკლები ღირდეს... მე თქვენ გეკითხებით:— რატომ უნდა ღირდეს „ტარტაროზი" მათზე ნაკლები! ყველამ ვიცით, რომ ნივთის ფასი შეფარდებაა, ერთგვარი საზომია მისი ხარისხისა, ღირსებისა... და ჩვენს წინაშეც ეს საკითხი წამოიჭრა:

—თუ (ნივთი, ამ შემთხვევაში) „ტარტაროზი" ხარისხით და ღირსებით ჩვენი ტეხნიკის და ძალების მასშტაბით არ ჩამოუვარდება არც ერთს რუსულ იუმორისტულ ჟურნალებს, რომლებიც ღირს არა ნაკლებ სამი შაურისა, მაშინ რატომ ღირდეს „ტარტაროზი" ორი შაური?.. ცხადია აქ საჭიროა თავისი ღირსების და ავტორიტეტის დაცვა...

და ის, ვისაც სწამს „ტარტაროზი" და ვისთვისაც ძვირფასია მისი ავტორიტეტი, არ დაიზარებს სამ შაურს.

გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია (თუმცაღა რედაქციას ეს არ ჰქონებია მხედველობაში მიღებული როცა „ტარტაროზს" ფასს უმატებდა) ის გარემოებაც, რომ შემდეგ ნომრიდან „ტარტაროზი" გაუმჯობესებული ტეხნიკით და შინაარსით გამოვა.

გამოსავალი სამი შაურიდან კიდევ არის: გამოიწერეთ გაზ. „მუშა", მას ყოველ კვირას მოყვება „ტარტაროზი" უფასოდ.




დასასრულ კიდევ ვიმეორებთ: „ტარტაროზზე" ფასის მომატება ამთავითვე იმიტომ განვაცხადეთ, რომ დროულად გასწიოთ თადარიგი და გამოიწეროთ გაზეთი (წაიკითხეთ ჩვენი პლაკატები).

ჩვენი მტერი და მოყვარე ახლა გამოჩნდება. მოყვარეს მოყვრულად დავხდებით, ხოლო მტრებისათვის რა პატივისცემაც ვიცით, ეს ხომ ყველასათვის აშკარაა,- მტერი ვერ გადაგვირჩება.

ტარტაროზი.

# „იშკილ“

კაცს რომ საქმე შემოელევა და ტყვილა-უბრალოდ რაიმე ხლაფოთს დაიწყებს იმ აზრით რომ: ტყვილა ჯდომას ტყვილა ხტომა სჯობიაო, სწორედ ასეა დღევანდელი მეცნიერების საქმე. ყველაფერი გამოირკვიეს, ყოველ მოვლესას მიზეზი გამოუნახეს და მათ სათანადო დებულებანი შეუქმნეს. არ დარჩენილა მათ მიერ შეუსწავლელი არაფერი. ახლა რაზე იხლაფოთონ, რით გაითქვან სახელი, რით გამოიჩინონ თავი თუ არა რაიმე უცნაური აზრების გავრცელებით.

ეხლა ვილაცას გამოურკვევია რომ: „1926 წლის შემდეგ ზაფხული აღარ იქნებაო“. აბა დაუკვირდით ამ სისულელეს ვინ უნდა დაუჯეროს? ამდენ ხანს თუ არ შეცვლილა აწი რა შეცვლის? განა ღმერთის საქმე არ არის ეს? (მარა ვინ იცის, იქნებ ღმერთი გულ მოსულია, რომ ქვეყანაზე დაიჯაბნიეს ჩემა ღვდლები და ეკლესიებსაც. შეურაცყოფა მეაყენოსო, და ვინ იცის თავზე ხელაღებულმა იქნებ მართლაც ქე მოშალოს ზაფხული).

ვაი ჩვენი ბრალი თუ მართლა გაუქმ და ზაფხული, თორემ მეფართლეებს და რეზინოტრესტს რა უჭირს! გაკეთდება იმათი საქმე. ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ; ყოველთვის ზამთარი კი არა, რაღაც სამი თვეა, და მაშინაც ძლიკს გადამაქვს ზამთრის გაჭირვება.

ამ ზამთარში კაცს თბილი ტანთაცმელი და კალოშები გინდა, რისთვისაც საჭიროა ფული მაგრამ მეცნიერულად რომ ჩავუკვირდეთ, ფულის შოვნისათვის საჭიროა სამსახური, ხოლო ამ უკანასკნელის საშოვნელად საჭიროა „პროტექცია.

ამ მეცნიერულ გამორკვევას მე მოვამდომე ხუთი უძილო ღამე. (ეს გამოკვლევა ეხლანდელ მეცნიერების გამოკვლევაზე უფრო მაღალ-ხარისხოვანია). ბოლოს დავადექი იმ აზრს, რომ უნდა ვიშოვნო პროტექტორი. მარა ვინ მყავს გავლენიანი ნაცნობი? დიდი ფიქრის შემდეგ გამოვნახე ორი ისეთი პირი, რომლებიც მესამე ხარისხოვან პროტექტორებათ გამოდგებოდენ.

მაგრამ უარით გამომისტუმრეს, და ერთმა კი სამასხროდაც ამიგდო:

— წადი, ფოსტაშია ადგილი.

— რა ადგილი?—მივაძახე გახარებულმა.

— რა და, დადგები ფოსტის კარებთან, გამოჰყევი პირიდან სველი ენა და ზედ გამგზავნ წერილების მარკებს დაასველებენ.

— ისევ ჩემით უნდა მოვახერხო—ვფიქრობდი შეურაცყოფილი და მივდიოდი ქუჩაში.

გავეშურე სინდიკატისაკენ ვიფიქრე—აქ მოვაწყობ რამე მახინაციას. თქო: ჩავდექი რიგში... (ჯიბეში მქონდა საფულე და შიგ ცხრა მანეთი) როცა მომაწვა ხალხი, გამოვხტი და ავტეხე ყვირილ-ტირილი:

— დავიღუპე, ვილაცამ 15 მანეთი ამომაცალა ჯიბიდან...

ვფიქრობდი: — ხალხს შევეცოდი, მოკრეფენ ფულს და მომცემენ-თქო.

მომაცვიდა ზღვა ხალხი. მეკითხებიან:

რა დაგეკარგა?

— ჩემი სიმწრით ნაშოვი ხუთმეტი მანეთი!—გავაბი ყვირილი.

— სად გქონდა, სადა?

ამ საფულეში მედვა 24 მანეთი... 15 მანეთი ვილაცა ჯიბგირს ამოუღია და კიდევ ვუმატე ყვირილს.

ნახეს ჩემი ცხრა მანეთი და საფულე.

— აბა ეს რაა?!

— მაგ ცხრა მანეთიანად საფულეში მქონდა 24 მანეთი.

— აქ რაღაც იშკილია—დაიძახა ერთმა.

— ან პატიოსანი ჯიბგირი ყოფილა, ანდა შენ სტყუი;

— იშკილია, იშკილი, — იყვირა მთელმა რიგმა,—ტფილისში არა გვყავს ისეთი ჯიბგირები, რომლებმაც საფულედან 15 მანეთი ამოიღოს და 9 მანეთი კი სახარჯოთ დაუტოვოს დაზარალებულს.

ჩემი საქმე უკვე წასული იყო მოვსტყუვდი ანგარიშში. დავუძვერი ხალხს და გამოვიცურცლე ჩემს ცივ საკანში, რომელიც მაინც სჯობია ციხის საკანს, სადაც ხშირად აგზავნიან იშკილებისათვის.

„ირა“.

# ზ რ უ ნ ვ ა

„ვარშავაში პოლიტიკურმა ტუსაღებმა გამოაცხადეს შიმშილობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. მთავრობამ დაიწყო დამშეულთა ხელოვნური კვება“. (გაზეთებიდან).



პილსუდსკი (ბარტელს—პრემიერ-მინისტრს):

წამებით არა მოკვდება,  
ხომ მუდამ არის ჭირშია;  
ძალით ჩაასხი ეს წვენი,  
ძაბრი ჩაუდე პირშია.

# არენაზე



# წაქეზება

## სცენა ოჯახში

ფულს ფლანგავენ ახლა მარდათ·
დიდი, მცირე, ეს თუ ისა...
ბევრს მძლე საქმე მოუგვარდა:
გაუსუქდა თვისი ქისა,

ასეთ საქმის წამხედური
ამიხირდა ჩემი ცოლი;
ამომავსო საყვედურით
და გაიყო მან საწოლი.

მისას ამბობს, ხოლო ჩემი
არ ისმინა მან იოტად.
გულში ბრაზით, მუშტის ცემით
წარმიდგინა მან ეს „ნოტა“:

გინდა მოკვდი, გინდა გაცდი,
გინდა თვალი დაითხარე,
გინდ სიმართლის გზასაც აცდი
და ცრემლებად დაიღვარე,—

ო... ინდ ფული ადრე, მალე,
რამე რიგად დაიხვავე,—
თორემ თვალებს დაგიკაწრავ;
კმარა, თავი რაც ვიკავე.

მე ბავშვები ასე მყავდეს!
შეხე, რას გავს ჩემი ძოსე!?
ბავშვი ბავშვსა უნდა ჰგავდეს,
ეს ბავშვები შემიმოსე:

თეიმურაზს სურს „ინდიგო“,
მაგრამ კმარა აგი მარტო?
შეკიოტის ბლუზა ნიკოს
და საზამთროდ თბილი პალტო

ლაიკისა ფეხსაცმელებს,
მაროს უნდა ფეხებს აშვერს;
არ იყიდი,— დაგტეხ ხელებს
და არ მოგცემ მე შენ საშველს.

ჰო-და ასე... ახლა, კარგო,
ყველანი რომ დაიმოსოს,
რომ დავტოვოთ, ხომ არ ვარ
გუნაკლულად პაწა სოსო!?

ახლა ჩემსას მოგახსენებ,
რაც მჭირია ყველას აბა:
მანამ აღარ მოგასვენებ,
თუ არა მაქვს სამი კაბა.

(ეს მითხრა და ქალთა კაბის
თვალების წინ ამაფარა),
შემყურე ვარ მარტო ამის,
დაველ ამის ანაზარა.

ხედავ პეტრეს პელაგია
როგორ დადის?... განა ასე!?.
აღარა მაქვს პერანგია...
გესმის ზრიყვო ათანასე?!

ათანასე.

# „მწუხარება“

— თიკო, გაიგე ჩვენი დალუპვა?!— უთხრა საღამოს მიტრომ მოწყენით და იქვე ჩამოჯდა დახლის ახლოს კვარტებთან.

— როგორ, კაცო! თუ შენ დაიღუპე, ეს არ ვიცი, ხოლო მე კი არხეინად ვარ.

— დედიშენისამ კარგად იქნები... შენც დალუპული ხარ და მეც... მოიჩა და გათავდა.

— კაცო მითხარი რაშია საქმე, თორემ ლამის ჭკუა დავკარგო!—ცხარობდა მიკიჩა.

— რაშია და... ჩვენი დათიკო სავანელი—და სიტყვა არც კი დაესრულებია მიტროს, რომ ახლო-მახლო მიკიტნები და მედუქნეები, თითქოს მათ თავზე მეხი გავარდაო, შეკრთნენ და შეეკითხნენ მიტროს:

— უაიმე დავიღუპეთ... რა კაცი დაგვკარგვია... საწყალი დათიკო... რაღა რესტორანებში... ვინ დაგვაკრევინებს გვეშველება აწი... ვინ იქეიფებს აწი აწი დოლს.... საწყალი დათიკო, რა ყოჩაღი იყო... გლეხს ისე არაფერს დაუწერდა თუ წინდაწინ „მაყარიჩს“ არ გადაახდევინებდა... რა ბიჭი იყო, რა ბიჭო... რაღა გვეშველება აწი... ნეტავ მოჰკლეს თუ მისით მოკვდა?..

— დაიცათ კაცო, არც მასეა საქმე...

— როგორ, როგორ, ცოცხალია თუ?

— სურამის მოსამართლეს დაუპატიმრებია და გორის ციხეში მოუთავსებია...

— ეჰ! ეს ჩვენთვის სულერთია... ჩვენთვის ციხეში მჯდომი დათიკო მკვდარს უდრის: ვერ მოვა და ვერ იქეიფებს ჩვენთან: გლეხებს ფულს ვერ გადაახდევინებს, რა ოხრობაც გვინდა... სულერთია, ჩვენთვი' მაინც მკვდარია...

— მოიტა მიკიჩა ერთი კვარტი... დავლოცოთ ჩვენი დათიკო..

ეს მისი ციხიდან გამოსასვლელი სადღეგრძელო იყოს... მალე გამოვიდეს და ისევ განაგრძოს თავისი „მოღვაწეობა“. — თამადის ამ სიტყვებმა უეცრად ყველას სახეზე სიხარული აღბეჭდა, მაგრამ როცა ერთმა სთქვა:

— ეჰ! ტყვილა ვლოცავთ... დათიკო ციხიდან ვერც ისე ადვილად გამოვა, როგორც თქვენ გგონიათ... და თუ ოდესმე გამოვიდა, ისე იქნება მოთურგნული, რომ გლეხების გატყავებას მაინც ვერ გაბედავს... უამისოდ კი ფული არ ექნება... და უფულო დათიკო ვის-ღა უნდა...

აქ კი ყველამ ყურები ჩამოჰყარეს და ცხვირები დაუშვეს ძირს.

კიკოლიკო.

# ბრძანება № 14

ჩვენ რომ არ გითხრათ
თქვენც კარგად იცით,
რომ ოცდა ექვსი
მიდის და კვდება.

მის მიცვალებას
და ახლის შობას
ყველა თქვენგანი
სიამით ხვდება...

ცა თუ რა მოდის
ოცდაექვს შემდეგ
ამას არ უნდა
ჭკუა დიდია.

თქვენ ყველამ იცით:
ოცდაექვს შემდეგ
რომ უეჭველად
ოცდაშვიდია.

**(ეს თქვენ კი არა
იმანც კი იცის,
ვინც დაასრულა
ცხრაწლედი წელსა).**

ჰო-და ის მოდის;
ჩვენც ვეგებებით;
ერთმანეთს ვართმევთ
სალამით ხელსა.

კეთილი იყოს
მისი მოსვლა და...
და ერთმანეთთან
ჩვენი შეხვედრა.

მომავლისათვის
საქმე გვაქვს ბევრი;
წინ გვიდევს ჯაფა
და დიდი შრომა.

ჰო, მართალია:
მიმავალ წელში
ჩვენ გვქონდა შრომა
ნაყოფიერი:

ცხოვრების მრავალ
მახინჯ მოვლენებს
ჩვენ შეუცვალეთ
სახე, იერი.

მაგრამ ამ ქვეყნად
კიდევ ბევრია
ჩვენს ყაიდაზე
გარდასაქმნი...

და რა ასეა
ჩვენ ყველასა გვაქვს
გასაკეთებლად
ბევრი საქმენი.

ერთი თუ მოვსპეთ,
გავანადგურეთ
და აღმოვფხვრით
მისი ძირ-ფესვი,—

თითქოს სანაცვლოდ
სხვა რამ ამოდის,
ვით გაზაფხულზე.
კიტრი თუ ნესვი.

ს ხომ ბუნების
ანონი არის
ა ჩვენს ცხოვრების
ნე და სიმბოლო;

ერთი თუ მიდის,
მეორე მოდის
და მოვლენებს კი
არა აქვთ ბოლო.

აშასადამე:
უდამ გვჭირია
ცხოვრებისათვის
ვარ-იარაღი,

რომ მათ წყალობით
და შეოხებით
მოვსპოთ ცხოვრების
მუწუკი, დალი...

და ამიტომაც
გვმართებს ჩვენ ყოფნა
მუდამ ფხიზლათ და
მზათ საბრძოლველათ.

რათა საჭირო
როცა იქნება,—
ჩვენ დავირაზმოთ
სწრაფად და ხელად.

დღეს ვინ არ იცის,
ვის არ სმენია
ჩვენი მიზანი,
ჩვენი ლოზუნგი:

**უნდა გარდავქმნათ
ძველი ცხოვრება—
ყოფა მახინჯი,
ძაბუნი, ჩლუნგი...**

ა ვინ არ იცის,
რომ ამისათვის
აჭირო არის
ოლოდ-და ესა:

ბრძოლა... და ბრძოლა
სასტიკი მკაცრი.
**ბარიკადებზე
კალამი-პრისა.**

ველაზე უფრო
პრელი და ბასრი
„იარაღებში“
იუმორია.

(ამას არ უნდა
ბევრი მტკიცება
და ყველამ იცის,
რომ ეს სწორია).

უკვე დ
1927 წლისათვის გ
ხელისმ
ყველა შეგნებული მშრომელ
ბდეს და ავრცელებდეს თავ
გამომხატველ
ყოველკვირეული იუ
„ტარტ
არის გაზ. „მუშა“-ს
ჟურ. „ტარტაროზი“ კი
სეგული ტეხნიკ
საქართველოს ყველა ქალაქებსა დ
კანტორას აქვს თავისი განყ
1927 წლისათვის გაზ. „მ
გაზ. „მუშა“ ჟურ. „ტა

კოლექტიურ- ხელისმომწერთათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | | 80 | კ. |
| 3 „ | 2 მ. | 30 | „ |
| 6 „ | 4 „ | 40 | „ |
| 1 წლით | 8 „ | 50 | „ |

ამთავითვე იზრუნეთ მ

კანტორის მისამართი

# ...აიწყო
## ...აზ. „მუშა"-ზე
## ...მოწერა

...ი უნდა იწერდეს, კითხულო-
...სი ინტერესების დამცველ და
...აზ. „მუშა"-ს

...ორისტული ჟურნალი
## ...როზი"
... უფასო დამატება

...ველ იანვრიდან გამოვა გაუმჯობე-
...ი და შინაარსით
... დაგებში გაზ. „მუშა"-ს მთავარ
...ყოფილებები, სადაც მიიღება
...მუშა"-ზე ხელისმოწერა
...არტაროზი"-თ ღირს

ინდივიდ. ხელისმომწერთათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თვით | 1 მ. | |
| 3 | ,, | 2 ,, | 85 კ. |
| 6 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 1 | წლით | 10 ,, | 50 ,, |

...ზეთის გამოწერისათვის

...ორჯიაშვილის ქ. № 6.

# ბრძანება № 15

სულ სხვაგვარია
აგი ბრძანება;
ეს არ ეხება
ტარტარ-რაზმელებს,—
არამედ მხოლოდ
ტარტარ - მკითხველებს.

იქნებ ვინმემ სთქვას:
რა უფლება აქვს,
რომ ტარტაროზი
გვაძლევს ბრძანებას?
ნეტა ვინ აძლევს
მას ამის ნებას?

ერთხელ იყო და
გვიბრძანა, მოსპო
ხელისმოწერა
მუქთი, ნისია...
ეს ბრძანება კი
რის მაქნისია?!

ჰმ! დიახ! სწორი;
საქმეც ეს არის;
ბრძანება ხშირად
საქმეს ასრულებს
და არ გვიკარგავს
ჩვენს კუთვნილ ფულებს:

ყველა მკითხველის
ვალდებულება
ამ ჩემს ბრძანებით
არის ასეთი:
**გამოიწერეთ**
**ჟურნალ-გაზეთი**

გაზეთი **„მუშა"**
და დამატება
კი **„ტარტაროზი"**,—
(ჩვენი ჟურნალი
შვედა ვარამის
არის მკურნალი).

რაღა კაცი ხართ,
თუ დაიშურეთ
თქვენ ამისათვის
**ოთხი აბაზი?!**
(მაშინ თქვენს სახელს
გაესვა ხაზი).

ახალ წელს ყველგან
მე ჩამოვივლი
და დამხვდეს ჩვენი
ჟურნალ-გაზეთი,—
თორემ ვიქნები
თქვენი ჯამბეთი.

ტარტაროზი.



# „ალიმენტი“



**მოსამართლე:** მოქალაქე, თქვენ რაღა გრჩებათ ჯამაგირიდან, როცა ამ მეორესაც ალიმენტს აძლევთ?

**მოქალაქე:** სამაგიეროდ, ჩემი ცოლი ხუთისაკან იღებს ალიმენტს.

# სარდაფში

**გრიშა:** რა დაგემართა, კაცო? ამ ღვინოს ჩემსავით შენ კი ჰყლაპავ და შენი გამხიარულება არ იქნა!?

**არტემ:** კაცო, ცოლმა ჩხუბი მიქნა სახლში: ჯამაგირი ამი მეტი სად არისო... მეც გული მომივიდა... წამოვიღე იგი ფული და აგერ მაქვს ჯიბეში. ამასაც აქ დავხარჯავ ღვინოში და იქნებ ბრაზი გადამიაროს გულიდან.

**გრიშა:** ჰოო, ღვინო წამალია ასეთ დროს. გადავკრათ კიდევ...

**არტემ:** კაცო ჯამაგირი შუაზე გავყევი. ნახევარი სახლში მივიტანე და ნახევარი ჩემთვის დავიტოვე ღვინის ფულად... ესეც ჩემი ცოლის ბრალია: მან წამიხდინა „დავერია“ ნიკოს სასადილოში. შემისწრო ღვინოს როცა ვსვამდი... მოვარდა და უთხრა მიკიტანს:—ამიერიდან არც ერთი წვეთი ღვინო არ მისცეო, თორემ კაპიკსაც ვერ აიღებო... ამ ამბის შემდეგ იქ აღარ შემესვლებოდა და აქანე მოვნახე ბინა.

**გრიშა:** კაჰ. თუ აქაც მიაკიდა და ჩემი ცოლიც მოიყვანა?.. ჩემმა ცოლმა ბევრი ლათაიები აღარ იცის; აიღებს რაც შიხვდება ხელში და აქაურობას მთლად მიამტვერ-მოამტვერევს.

**არტემ:** ნუ გეშინია, გრიშა... ერთი კვარტი კიდევ დაელიოთ... ეს სარდაფი მე საგანგებოდ მაქვს გამონახული... აქ ჩემი ცოლი კი არა, ეშმაკიც ვერ მ—

მ. ძრძელი.

# საბას ამაღლება

გეტყვით ნამდვილ ამბავს... მომისმინით აბა.
იყო წმინდა მამა, ნაღვდელარი საბა.
ეცვა ყორნის ფერი ანაფორა-კაბა—
და მუცელი ედვა უზარმაზარ ქვაბად.
სპილო ვერ დასძრავდა, რაც მან ფლავი ჭამა.
არც ქერივებზე იყო ეს წმინდანი ხამად.
როცა სადმე მაგრა გადაჰკრავდა ღვინოს,
ხელს უსვამდა რბილად ქეთევანს თუ ნინოს.
წმინდა საბამ ბოლოს მოიგონა სული,—
და მიადგა ტაძარს მონანიებული.
იმ საყდარში თურმე ლოცულობდნენ ძველად;
ეხლა კი „ეშმაკი“ კარზე ედგა მცველად.
უზარმაზარ კედლებს წინ რომ ჰქონდა ბალი,
ჭერში ჰქონდა დიდად ჩანგრეული თალი
საიდანაც ღამით ვარსკვლავები ჩანდა,
ეს ტაძარი შორით მაღალ მთასა ჰგავდა.
—აი აქ დასახლდა—ჩვენი წმინდა ბერი.
დაივიწყა გულით ქვეყნად ყველაფერი...
და შეუდგა სულის გასაწმენდად ბოდვას.
ძნელი არის, როცა არ გასვენებს ცოდვა.
არ ახსოვდა საბას ხორცი სმა და ჭამა.
წმინდანს დაემგზავსა ჩვენი სულის მამა.
ეს ამბავი მოხდა სოფლის შორს და გარეთ,
რადგან კომკავშირი სძულდა მწარედ.
მას იპყრობდა შიში როს ხედავდა წინათ.
ოხ, ყინულზე ბევრჯერ გააცურეს იმათ.
ერთხელ გარეთ ღამე დაიფინა ბნელი.
წმინდა საბამ ცისკენ აღაპყრინა ხელი.
ილოცა და ცოდვა მოინანა ძველი.
ამ დროს მას ზევიდან ხმა მოესმა ნელი:
—საბა ღვდელო, მე ვარ მიქელ გაბრიელი.
ამ ქვეყნის მაინც არ ხარ მადლიერი.
მოემზადე, უნდა ...
იქ იცხოვრებ მუდამ ანგელოზთა ღლვაში...
სთქვა და ჩამოუშვა ოქროს თეფში დიდი.
როგორც ცის და მიწის უწმინდესი ხიდი.
გარეშემო ენთო წმინდა კელაპტრები,—
და ესვენა მწკრივად ხატები და ჯვრები.
ღამე ბნელი იყო ვით სამეფო ქაჯთა.
საბა წმინდა თეფშზე სასოებით დაჯდა.
თეფშმა მძიმე-მძიმედ აიწია ზევით—
იდუმალი ჯაჰვით და სხივების ფრქვევით.
როცა ნანგრევ გუმბათს მიაღწია საბამ,
მეტი სასოებით თვალი გადანაბა.
მაგრამ ამ დროს ისევ ხმა მოესმა ნელი;
საბავ! ჯერ ცოდვები სულზე გაწევს ძველი.
უნდა ათს წელს კიდევ კელაპტრები მინთო,
თუ გინდა რომ მართლა სული გაიწმინდო.
და შექანდა უცებ, თეფშიც დაყირავდა.
თითქოს საბას უცებ რაღაც მოხვდა თავთან...,
წამოვიდა დაბლა ხარხარით და ხვნეშით
და ძირს გაიშხლართა წმინდა საბას ლეში.
გვერდი დაუნაყა სიპმა ქვამ და მიწამ.
გრძნობდა მწვავე ტკივილს და ძირს დიდხანს იწვა.
იმას სწამდა ძალა ლოცვების და ფიცის..
უცბად იქვე კართან ყური მოჰკრა სიცილს.
თავი აიწია, მოიკრიფა ძალი
და კომკავშირელს-კი მიაჩერა თვალი.
მაშინ წმინდა საბამ ჩაიქნია ხელი—
და მისვდა ვინ იყო მიქელ გაბრიელი:
აღარა აქვს გული არც ღვთის, აღარც მრევლის—
და ჩერჩეტი თავით კომკავშირლებს წყევლის.

ნიახურკი.

# შთაგონება




— სად იკარგები? ორი საათი დაგეძებ და ვერსად გიპოვე.
— აქ იმიტომ ვზივარ, რომ მინდა პაპიროსის წევას გადავეჩვიო.

# საშობაო „ჩალაღაჯები“

(ეკლესიის მესვეურებს)

ალილო, ალი ჩალილო...
მღვდელო, სად მიჩქარიო?
ბარძიმ-ფეშხუმში ნარჩენი
ღვინო შენ უნდა ჩალიო,
თუ სხვაც გყავს, რომ დაგეხმაროს
კეთილ მორწმუნე ჯარიო?
იიქარი ეკლესიისკენ.
ღია დაგიხვდეს კარიო.
„შევსულიყო შენს ფარეხში“...
მომერთოს თხა და ცხვარიო,
კურატის ბეჭი, სათალი
და ვარიები, მწვარიო;
შენც ეკლესიის ეზოში
ისევ დაგდგომოდეს დარიო:
ღვეძლები ბლომად გეყაროს,
ფაშარი პურიც მხმარიო,
უბრძანო მედავითნესა:
„მნათემ დარეკოს ზარიო“!
საცეცხლურს ბოლი სდიოდეს,
წვერულვაშს ოშხივარიო...
ყველა ეს ცხადი გეგონოს,
მხოლოთ სიზმარი არიო.
ტანს ცხელი ოფლი დაგასხას
დღე გაგითენდეს მწარიო,
ისეთი შობა დაგიდგეს,
ყელს არ გილბობდეს ცვარიო,
„მოგსვლოდენ კომსომოლებს“,
ცხვირით გადინონ ძმარიო,
ჰკიოდეს ფოფოდიაი:
„რა ვქნა, მომიკლეს ქმარიო!“
გვერდს ედგენ მოკეთეები,
იდგეს გლოვა და ზარიო...

მღვდელმა სთქვა: ეს „ტარტაროზი“
ასე რომ არ შემჩენოდა,
ამ ქვეყნად ღვიძლების ხვეჭა
ერთხანს კიდევ შემრჩებოდა.
დამქონდა ჯორით ხურჯინი,
ვიყავ მის თვალთა ტენაში,
ღვინის და ხარჩოს წვენისა
წვერებზე ჩამოდენაში.
„მიწყალე“ და „ღირსაარსი“
ჩემი ცხენის ხვივინს სჯობდა,
გული ჩემი ჯვრის ქვეშ მკერდში,
როგორც კვიცი, ისე ხტოდა.
ფოფოდია სქელი მყავდა,
ნათლის დედაც უფრო სქელი,
ტანი, ფეხი ჩვენ არ გვაკლდა
და მუცლების სახეთქელი.
გლეხი კაცის ქედზე ეჯდო
ჩემი ბედი, ვით უღელი,
რომ ვიგონებ, გული ჰიებს
არ მორჩება დაუღრღნელი“...
დიაკონმა ყური მოჰკრა
ხუცის ასეთ ტრაბახ-ტრუბახს,
ბოხ ხმით ისიც აროხროხდა,
აჭიხვინდა, ჰგავდა ულაყს:
„ხუცესო, რამ გადაგრია?
რაებს მიედ-მოედები?
ღვთის პირით სულ გადამღვარხარ,
ტარტაროზს არ ერიდები?!.
შენ უჩემოდ „ღირსაარსი“
არ გეთქმოდა. მღვდელო, არა,
მოძახილს ხომ ჩაიწყვეტდი,
ბანი მეთქვა მე რომ არა,
და ხურჯინით შენი ჯორი
მე თვით რომ არ შემეკაზმა,
სულ ტყუილად ჩაგივლიდა
ზედაშე, თუ აიაზმა!“
მნათემ ემბაზს ხელი სტაცა
და დაღვარა ნათლის წყალი:
—„თქვე ოხრებო, ტყვილა გიწყვეს
საცეცხლურში ნაკვერჩხალი?!
თუ არშივის მესამედსა
კერძათ მე არ დამიდებდით,
საცეცხლურის მაგიერად,
მუგუზლით თავს გაგიტეხდით
ფოფოდიამ დიაკვნის ცოლს
აივნიდან გადასძახა:
„არშივს ელი? ვხედავ, გშია,
დაგიღია ფართოდ ხახა.
მე კი ჩემი წვერცამეტას
ძველი ყოფა მენატრება,
რომ იდინოს უხვად სახლში
ღვიძლების ჩამონაჭრებმა!..“
მნათის ცოლმა გამოსძახა:
„იზარალებ ნატვრაშიო,
თუ რომ შენს ქმარს ჩემი ქმარი
არ დაესწრო ნათვლაშიო.
თუ ემბაზი არ წაუღო,
თან ჯვარი და სახარება,
არშივი და ხაჭაპური
ახლოც არ მოგეკარება!“
დიაკვნის ცოლს ეს რა ესმა,
ესმა ერქვა, ქმარს ელოდა,
ძველი ტალმა წამოესხა,
ძლივს მოსჩანდა საყელოდან.
ორი დღეა, არ ეჭამა.
გაშრობოდა ყელში ნერწყვი,
უსმენს იმათ... ელის ქმარს და...
მოვა. აჭმევს, მე შენ გეტყვი!..
წახდა მათი სალავათი,
მღვდელიც გატყდა, მნათეც წელში,
დიაკონიც ვერ როხროხებს,
ჩასდგომია ხრინწი ყელში.
გაუფრინდათ ძველი დრო და
ძველი ყოფა—ნეტარება.
„ტარტაროზის“ წერა გახდა
დავითნი და სახარება!..

ონისიმე.

# სოფ. ნიგორზღვა

მინდა გავბერო ქამანჩა,
ვიმღერო კახურ ტონზეო,
სოფელს შაირით ვუმღერო,
იქნებ მოვიდეს გონზეო.
პირველ ნიგოზლევის მცხოვრებნი
არ ილვიძებენ სწორზეო,
ისევ ზედ სხედან უშიშრად
წინედ შემჯდარნი ჯორზეო.
სოფლად ოთხწლედი სკოლაა,
დამდგარა ის მინდორზეო;
ადვილი დასანახია,
თუ კი რომ ახვალ გორზეო.
მდებარეობა ათწილად
კარგია მიხიგორზეო,
თხები და ცხვრები სკოლაში
წვებიან თავის დროზეო.
წინედ ამ სოფლის მფლობელი
თუმც იყო რემანოზეო;
ეხლა ალექსი განაგებს
იცის ოინი ონზეო.

საბალახეიროვმ.

# „ალიმენტი"



მოსამართლე: მოქალაქე, თქვენ რაღა გრჩებათ ჯამაგირიდან, როცა ამ მეორესაც ალიმენტს აძლევთ?
მოქალაქე: სამაგიეროდ, ჩემი ცოლი ხუთისაგან იღებს ალიმენტს.

# სარდაფში

გრიშა: რა დაგემართა, კაცო? ამ ღვინოს ჩემსავით შენ კი ჰყლაპავ და შენი გამხიარულება არ იქნა!?

არტემ: კაცო, ცოლმა ხუბა მიქნა სახლში: ჯამაგირი ამი მეტი სად არის... მეც გული მომივიდა... წამოვიღე იგი ფული და აგერ მაქვს ჯიბეში, ამასაც აქ დავხარჯავ ღვინოში და იქნებ ბრაზი გადამიაროს გულიდან.

გრიშა: ჰოო, ღვინო წამალია ასეთ დროს. გადავკრათ კიდევ...

არტემ: კაცო ჯამაგირი შუაზე გავყევი. ნახევარი სახლში მივიტანე და ნახევარი ჩემთვის დავიტოვე ღვინის ფულად... ესეც ჩემი ცოლის ბრალია: მან წამიხდინა „დავერია" ნიკოს სასადილოში. შემისწრო ღვინოს როცა ვსვამდი... მოვარდა და უთხრა მიკიტანს:—ამიერიდან არც ერთი წვეთი ღვინო არ მისცეო, თორემ კაპიკსაც ვერ აიღებო... ამ ამბის შემდეგ იქ აღარ შემესვლებოდა და აქანე მოვნახე ბინა.

გრიშა: კაჰხ. თუ აქაც მოკიდა და ჩემი ცოლიც მოიყვანა?.. ჩემმა ცოლმა ბევრი ლათაები აღარ იცის; აიღებს რაც შიხვდება ხელში და აქაურობას მთლად მიამტვრ-მოამტვრევს.

არტემ: ნუ გეშინია, გრიშა... ერთი კვარტი კიდევ დავლიოთ... ეს სარდაფი მე საგანგებოდ მაქვს გამონახული... აქ ჩემი ცოლი კი არა, ეშმაკიც ვერ მ...

მ. ჯრძელი.

# საბას ამაღლება

გეტყვით ნამდვილ ამბავს... მომისმინით აბა.
იყო წმინდა მამა, ნაღვდელარი საბა
ეცვა ყორნის ფერი ანაფორა-კაბა—
და მუცელი ედვა უზარმაზარ ქვაბად.
სპილო ვერ დასძრავდა, რაც მან ფლავი ჭამა.
არც ქვრივებზე იყო ეს წმინდანი ხამად.
როცა სადმე მაგრა გადაჰკრავდა ღვინოს,
ხელს უსვამდა რბილად ქეთევანს თუ ნინოს.
წმინდა საბამ ბოლოს მოიგონა სული,—
და მიადგა ტაძარს მონანიებული.
იმ საყდარში თურმე ლოცულობდნენ ძველად;
ეხლა კი „ეშმაკი" კარზე ედგა მცველად.
უზარმაზარ კედლებს წინ რომ ჰქონდა ბაღი,
ჭერში ჰქონდა დიდად ჩანგრეული თაღი,
საიდანაც ღამით ვარსკვლავები სჩანდა,
ეს ტაძარი შორით მაღალ მთასა ჰგავდა.
—აი აქ დასახლდა—ჩვენი წმინდა ბერი.
დაივიწყა გულით ქვეყნად ყველაფერი...
და შეუდგა სულის გასაწმენდად ბოდვას.
ძნელი არის, როცა არ გასვენებს ცოდვა.
არ ახსოვდა საბას ხორცი სმა და ჭამა.
წმინდანს დაემგზავსა ჩვენი სულის მამა.
ეს ამბავი მოხდა სოფლის შორს და გარეთ,
რადგან კომკავშირი სძულდა მწარედ.
მას იპყრობდა შიში როს ხედავდა წინათ.
ოხ, ყინულზე ბევრჯერ გააცურეს იმათ.
ერთხელ გარეთ ღამე დაიფინა ბნელი.
წმინდა საბამ ცისკენ აღაპყრინა ხელი.
ილოცა და ცოდვა მოინანა ძველი.
ამ დროს მას ზევიდან ხმა მოესმა ნელი:
—საბა ღვდელო, მე ვარ მიქელ გაბრიელი.
ამ ქვეყნის მაინც არ ხარ მადლიერი.
მოემზადე, უნდა ...
იქ იცხოვრებ მუდამ ანგელოზთა ლხინში...
სთქვა და ჩამოუშვა ოქროს თეფში დიდი.
როგორც ცის და მიწის უწმინდესი ხიდი.
გარეშემო ენთო წმინდა კელაპტრები,—
და ესვენა მწკრივად ხატები და ჯვრები.
ღამე ბნელი იყო ვით სამეფო ქაჯთა.
საბა წმინდა თეფშზე სასოებით დაჯდა.
თეფშმა მძიმე-მძიმედ აიწია ზევით—
იდუმალი ჯაჭვით და სხივების ფრქვევით.
როცა ნანგრევ გუმბათს მიაღწია საბამ,
მეტი სასოებით თვალი გადანაბა.
მაგრამ ამ დროს ისევ ხმა მოესმა ნელი:
საბავ! ჯერ ცოდვები სულზე გაწევს ძველი.
უნდა ათს წელს კიდევ კელაპტრები მინთო,
თუ გინდა რომ მართლა სული გაიწმინდო.
და შექანდა უცებ, თეფშიც დაყირავდა.
თითქოს საბას უცებ რაღაც მოხვდა თავთან...
წამოვიდა დაბლა ხარხარით და ხვნეშით
და ძირს გაიშხლართა წმინდა საბას ლეში.
გვერდი დაუნაყა სიპმა ქვამ და მიწამ.
გრძნობდა მწვავე ტკივილს და ძირს დიდხანს იწვა.
იმას სწამდა ძალა ლოცვების და ფიცის...
უცბად იქვე კართან ყური მოჰკრა სიცილს.
თავი აიწია, მოიკრიფა ძალი.
და კომკავშირელს-კი მიაჩერა თვალი.
მაშინ წმინდა საბამ ჩაიქნია ხელი—
და მიხვდა ვინ იყო მიქელ გაბრიელი:
აღარა აქვს გული არც ღვთის, აღარც მრევლის—
და ჩერჩეტი თავით კომკავშირლებს წყევლის.

ნიახური.

# შთაგონება




— სად იკარგები? ორი საათი დაგეძებ და ვერსად გიპოვე.
— აქ იმიტომ ვზივარ, რომ მინდა პაპიროსის წევას გადავეჩვიო.

# საშობაო „ჩალაღაჯები“

## (ეკლესიის მესვეურებს)

ალილო, ალი ჩალილო...
მღვდელო, სად მიჩქარიო?
ბარძიმ-ფეშხუმში ნარჩენი
ღვინო შენ უნდა ჩალიო,
თუ სხვაც გყავს, რომ დაგეხმაროს
კეთილ მორწმუნე ჯარიო?
იიქარი ეკლესიისკენ,
ღია დაგიხვდეს კარიო.
„შევსულიყო შენს ფარეხში“...
მომერთოს თხა და ცხვარიო,
კურატის ბეჭი, სათალი
და ვარიები, მწვარიო;
შენც ეკლესიის ეზოში
ცულავ დაგდგომოდეს დარიო:
ღვეძლები ბლომად გეყაროს,
ფაშარი პურიც მხმარიო,
უბრძანო მედავითნესა:
„მნათემ დარეკოს ზარიო“!
საცეცხლურს ბოლი სდიოდეს,
წვერულვაშს ოშხივარიო...
უველა ეს ცხადი გეგონოს,
მხოლოთ სიზმარი არიო.
ტანს ცხელი ოფლი დაგასხას
დღე გაგითენდეს მწარიო,
ისეთი შობა დაგიდგეს,
ყელს არ გილბობდეს ცვარიო,
„მოგსვლოდენ კომსომოლებს“,
ცხვირით გადინონ ძმარიო,
ჰკიოდეს ფოფოდიაი:
„რა ვქნა, მომიკლეს ქმარიო!“
გვერდს ედგენ მოკეთეები,
იდგეს გლოვა და ზარიო...

მღვდელმა სთქვა: ეს „ტარტაროზი“
ასე რომ არ შემჩენოდა,
ამ ქვეყნად ღვიძლების ხვეჭა
ერთხანს კიდევ შემრჩებოდა.
დამქონდა ჯორით ხვირჯინი,
ვიყავ მის თვალთა ტენაში,
ღვინის და ხარჩოს წვენისა
წვერებზე ჩამოდენაში.
„მიწყალე“ და „ღირსაარსი“
ჩემი ცხენის ხვივინს სჯობდა,
გული ჩემი ჯვრის ქვეშ მკერდში,
როგორც კვიცი, ისე ხტოდა.
ფოფოდია სქელი მყავდა,
ნათლის დედაც უფრო სქელი,
ტანი, ფეხი ჩვენ არ გვაკლდა
და მუცლების სახეთქელი.
გლეხი კაცის ქედზე ეჭდო
ჩემი ბედი, ვით უღელი,
რომ ვიგონებ, გული ჰიებს
არ მორჩება დაუღრღნელი“...
დიაკონმა ყური მოჰკრა
ხუცის ასეთ ტრაბახ-ტრუბახს,
ბოხ ხმით ისიც აროხროხდა,
აჰიხვინდა, ჰგავდა ულაყს:
„ხუცესო, რამ გადაგრია?
რაებს მიედ-მოედები?
ღვთის პირით სულ გადამდგარხარ,
ტარტაროზს არ ერიდები?!
შენ უჩემოდ „ღირსაარსი“
არ გეთქმოდა, მღვდელო, არა,
მოძახილს ხომ ჩაიწყვეტდი,
ბანი მეთქვა მე რომ არა,
და ხურჯინით შენი ჯორი
მე თვით რომ არ შემეკაზმა,
სულ ტყუილად ჩაგივლიდა
ზედაშე, თუ აიჭზმა!“
მნათემ ემბაზს ხელი სტაცა
და დაღვარა ნათლის წყალი:
—„თქვე ოხრებო, ტყუილა გიწყვეტ
საცეცხლურში ნაკვერჩხალი?!
თუ არშივის მესამედსა
კერძათ მე არ დამიდებდით,
საცეცხლურის მაგიერად,
მუგუზლით თავს გაგიტეხდით
ფოფოდიამ დიაკვნის ცოლს
აივნიდან გადასძახა:
„არშივს ელი? ვხედავ, გშია,
დაგიღია ფართოდ ხახა.
მე კი ჩემი წვერცამეტას
ძველი ყოფა მენატრება,
რომ იდინოს უხვად სახლში
ღვიძლების ჩამონაჭრებმა!..“
მნათის ცოლმა გამოსძახა:
„იზარალებ ნატვრაშიო,
თუ რომ შენს ქმარს ჩემი ქმარი
არ დაესწრო ნათვლაშიო.
თუ ემბაზი არ წაუღო,
თან ჯვარი და სახარება,
არშივი და ხაჭაპური
ახლოც არ მოგეკარება!“
დიაკვნის ცოლს ეს რა ესმა,
ესმა ერქვა, ქმარს ელოდა,
ძველი ტალმა წამოესხა;
ძლივს მოსჩანდა საყელოდან.
ორი დღეა, არ ეჭამა,
გაშრობოდა ყელში ნერწყვი,
უსმენს იმათ... ელის ქმარს და...
მოვა, აჰმევს, მე შენ გეტყვი!..
წახდა მათი სალავათი,
მღვდელიც გატყდა, მნათეც წელში.
დიაკონიც ვერ როხროხებს,
ჩასდგომია ხრინწი ყელში.
გაუფრინდათ ძველი დრო და
ძველი ყოფა—ნეტარება.
„ტარტაროზის“ წერა გახდა
დავითნი და სახარება!..

ონისიმე.

# სოფ. ნიგორზღვა

მინდა გავბერო ჭამანჩა,
ვიმღერო კახურ ტონზეო,
სოფელს შაირით ვუმღერო,
იქნებ მოვიდეს გონზეო.
პირველ ნიგოზღვის მცხოვრებნი
არ ილვიძებენ სწორზეო,
ისევ ზედ სხედან უშიშრად
წინედ შემჯდარნი ჯორზეო.
სოფლად ოთხწლედი სკოლაა,
დამდგარა ის მინდორზეო;
ადვილი დასანახია,
თუ კი რომ ახვალ გორზეო.
მდებარეობა ათწილად
კარგია მიხიგორზეო,
თხები და ცხვრები სკოლაში
წვებიან თავის დროზეო.
წინედ ამ სოფლის მფლობელი
თუმც იყო რემანოზეო;
ეხლა ალექსი განაგებს
იცის ოინი ონზეო.

საბალახეიროშ.

# „დიაგნოზი“



**ექიმი**: ავადმყოფის კუჭი და მუცელი დამაკმაყოფილებელია—შიგ არაფერი არ არის...

**ავადმყოფის შვილი**: მე კი ასე მგონია, რომ მამაჩემი ავად იმიტომ არის, რომ კუჭში და მუცელში არაფერი აქვს!

აქ საგრენაჟოსკენ
მოვიბრუნოთ პირი;
ვალმერთოდ ლიონტი
იტალიის გზირი.
ფულებს ღლეტავს „ჩენჩად“
ბუჰჰალტერთან ერთად:
იტალიას გზავნის
ბანკის შესაერთად.
„გრუზშოლკი“-ს ფულები
წავიდ-წამოვიდა
და ამ ფულის „ყლაპვაც“
კოხტად გამოვიდა.
მუშ-გლეხ. ინსპექცია
არ ცდილობს და არა;
საზღვარგარეთლისთვის
„გამორჩენა“ კმარა.
ჯერჯერობით სტვირო
უნდა მოითმინო;
მუშ-გლეხინსპექცია
ვანშიც მოირბინოს
ათასობით „გრუზშოლკს“
თუ აქვს ფული მეტი,
ვანის საგრენაჟომ
თავს დაგვასხა რეტი.
სახელმწიფოს რა აქვს
აბა „გასაღლეტი“?!
მიდის „ჩარი-რამად“
„ნაქაფების“ ბედი.
ტარტაროზის რისხვავ,
დაკვესე აბედი!
ჩვენც მღერა შევსწყვიტოთ,
[illegible]

ვენჯი.

## ლიხაური

მო ყური მიგდე, ტარტაროზ.
გავშალო ცნობის ფურცელი:
ხან აგატირო და ხანაც
სიცილით გეწვას მუცელი:

—

კაბინეტში დინჯათ რომ ზის
და დისჯადვე წიგნაკს გაშლის,—
მაგრამ დახეთ!.. ის რეცეპტში
სამში ოროთავ წამალს წაშლის.
ექსპრომტათ სწერს, ექსპრომტათ შლის
(გათავა ინსტიტუტი?)
მე თუ მკითხავ ასეთები
დროზე არის გასაპუტი.
ნეტა მათ რა ათამაშებს,
რის შური აქვთ, ან რის ჟინი?..
იქნებ იმათ სხვაგვარ ესმის
„ხალანდელი „ეკრეჟიმი“?..
ვერც მთავრობას, ვერც დაზღვეულს
ამით ამაგს ვერ გაუწევს.
საჭიროა: ალმასკომი
ასეთებს ყურს თუ აუწევს,—
თორემ ბოლოს კი ინანებს
კრიჟანგობას და სიძუნწეს...
მაშ დაზღვევა ვის რათ უნდა
სარგებლობა თუ არ უწევს?!
აფთიაქში კი გეტყვიან:
„ხვალ იქნება“-ს გულსაკლავათ.
უნდა წინ და წინ ვიცოდეთ
შევიქნებით როდის ავათ.

—

აბრეშუმის ფაბრიკაზე
არ მიიღეს არეინ ქვრივი,
რისთვისაც ბევრს მზათა ჰქონდა
მოლერილი მუშტი-კრივი.

მაჯლაჯუნა.

## დიდი ჯიხაიში

ამბავს რასმეს მოგახსენებთ
მოკლესა და სწრაფად, ხელათ:
ბედმა წილად ნუ გარგუნოს
ამხანაგი სათრეველად.
ერთხელ ვასო მივამგრეთ
ასარჩევათ № 2 კუთხეს;
მოვიყვანეთ, გავაცანით;
უარი გვითხრეს, შეგვიკურთხეს.
მიმაგრებული იოსები
მოგვიხსნეს და შეგვიწუხეს;
მაგრამ კმდევ მივამაგრეთ,
წარუდგინეთ ის სხვა კუთხეს.
ამ კუთხიდან იმ კუთხეში
ვასო, იოსებ, ტრიფონ ერთად,
ვაკოწიწეთ, ვარბენინეთ,
ვავიყვანეთ ბოლოს ერთმა.

„ინკოგნიტო“.

## ვანი

ისევ შენ, ისევ შენ
მეგობარო, სტვირო;
ვანის მშენებლობას
უნდა შეუყვირო...
საქმე უკეთესი
არსად შეიძლება
„მულამი-ქათობა“
აქ რომ ისევ ხდება.
ცხრაწლედთან ვიმღერო:
„სულთათანა“ მწყლარად
ჰიჰიკოს უბიძგეს
დაგვიტოვეს მშრალად.
ცხრაწლედელ პადაგოგთ
შეუსრულდათ ნატვრა:
ლასხიშვილს აუტყდენ
ისიც „ფახით“ გაძვრა...

## …ასურ…

მუშკოპის მაღაზიაში
გამგეა ძველი იასონ.
მუშტარსა აქა შესულსა
ბასრი კბილები მიაწო.
სიტყვა უკმეხი-უხეში
მის მიერ მონაგონია.
თავისი თავი—ბატონი,
სხვები კი ყმანი ჰგონია
ასეთი მაგალითები
იმისგან მეტად ხშირია.
ტარტაროზ, მოგვინახული
შენი ჩანგალი გვჭირია.
აქედან ვნახოთ მეორე,
ესეც სავაჭრო კოოპია;
არშიყი არის მოლარე
(სახელად ის პროკოპია).
სალარო დავიწყებია,
არშიყობს კართან ქალებში.
ფულის დათვლის დროს პროკოპი
შესცქერის ქალებს თვალებში.
კარგი აქნება, ტარტაროზ,
თვითონ შენ წააყურებდე
და შემდეგ შენი ჩანგალით
აზასაც შეახურებდი

ზახ…

# „ხმა უდაბნოსა შინა“

„ერთა ლიგის მორიგ სესიაზე ჩვეულებისამებრ ილაყბეს მშვიდობიანობაზე... და წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში“.



ჯვით მაცხოვარი უწინ მშვიდობას ქადაგობდა;
სიძულვილსა და მტრობას ჰკიცხავდა, სძაგდა, ჰგმობდა,—
დღეს თითქოს მისი შტაბი არის ეს ერთა ლიგა;
„მოძღვრება სიყვარულზე“ ხშირად გაისმის იქა.
ელრიჭებიან ურთერთს... სიტყვებს ამბობენ ტკბილებს.
შავ გულს მალავენ, როცა აჩენენ თეთრსა კბილებს.
ლაყბობის შემდეგ ერთი მხედარი არის ვირის.
შეჯდება ზედ და ყველგან ის თავგატეხით ჰყვირის:
— „ქრისტეს შტაბია, ხალხნო, ეს ჩვენი ერთა ლიგა;
ქვეყნის ყოველი ხალხი შვებას იპოვის იქა“.
მაგრამ რა?! თვისი სიტყვა თვითონ მას არა სჯერა.
ყველა მათგანსა უყვარს იარაღების ჟღერა.
მიტომაც რჩება მისი ხმა „უდაბნოსა შინა“...
და საპასუხოდ ისმის: „ღმერთმა თქვენ შეგარცხვინა“!

# სამარეჯო

**„სოფლის მოღვაწენი“**

კაცად კაცი ხომ არა ვარ
ამპარტავანი, ავიო.
ხელსაც კი ვართმევ გლეხებსა,
არ მოკვდეს ჩემი თავიო.
რა ვქნა! რა ჩემი ბრალია
თუ მიყვარს ცხენი შავიო
თქვენ არ მომიკვდეთ—სკოლისთვის
არ შევიწუხო თავიო.
თუ ჩამიწერა გლეხკორმა
საქმენი ჩემი აეიო,—
ვაი და უი იმასა,
დღე დაადგება შავიო.

აქაურ ბანკის გამგეა—
ქურდოვანიძე კოლია;
ის ჩაწერილი გაზეთში
ჩვენ არა ერთხელ გვყოლია.
მიტომც აგინებს გლეხკორებს,—
საქულაც აიყოლია;
(ნოქარი არის საქულა).
ერთმანეთისა ტოლია
ერთად შედიან დუქანში,
სევდა გულს შემოსწოლია...
შესვლისთანავე კვარტებით
ივსება მათი სტოლია.

მილიციისა უფროსი
ხარაიძეა გვარადა.
შევა დუქანში, თხოულობს
ღვინოს ჩქარა-და-ჩქარადა.
შეზარხოშდება და მღერის:
„არშინ-მალ-ალან“... „ვარადა“.
იქიდან როცა გამოვა
კაცი არ უჩანს არადა.
ბარბაც-ბარბაცით დაიწყებს
დაზვერვას მთა და ბარათა.

უყვარს სიტყვების რახუნი
მდივანსა თემკომისათ.
სიტყვით სასახლეს ააგებს
ორ-სამ კვირაში ისათ.
ყველა კრებებსა ესწრება,
მოისმენს წეს-რიგს დღისათ.—
შემდეგ კი გაიპარება
და ღვინოსა სვამს ისათ.
კედლის გაზეთსა დასვამს
[illegible] თემკომისათ.

**კრაზანა.**



როგორ ეზიდება გლეხი ნაგავს

გამოიწერეთ
„მუშა“
და
„ტარტაროზი“

# „ფ უ ნ ჯ ი“



— სტერილიზაციაქმნილი ფუნჯით გამისვით საპონი!
— ათასი კაცი გამისაპნავს ამ ფუნჯით და ამაზე უკეთესი სტერილიზაცია რაღა იქნება?!

# სიყვარულის ბრალია

**ისტორიული რომანი**

**(სად ჯუმათი)**

იცის სოსომ, იცის:ჩამოსულა სტუმრად
სულის ნახევარი მეზობლისას ახლო.
რა ჰქნას საყვარელთან ვერ იქნება უბრა.
დიდხნის უნახავსა უნდა იქ ეახლოს.
ეშინია ცოლის და ვერ ბედავს მისვლას;
ღრმად სწამს რომ გაუგოს არ დაინდობს, არა
ჯდება და სწერს უსტარს, პაემანსა ნიშნავს;
ვილაც ბავშვის ხელით გაუგზავნის ჩქარა.
თვითონ დადის ბაღში, ვერ ისვენებს, ცმუტავს
ელის გულის ვარდსა, კანკალებს და ტოკავს...
ცაზე ღრუბლებია, მთვარე ოდნავ ბჟუტავს;
იქვე ჩნდება გულში და სიხარულს ბორკავს.
გადაშლილა ბაღი აქ სადგურის გვერდით;
ორი ჩინარია მუნ შეზრდილი ძმურად,
ორიც კვიპაროსი გადამხმარი ბედით,
ერთი სანახშირეს, ერთიც „კლოზეტს“ ჰბურავს
ეს შეადგენს ბაღის დიდებას და ავლას;
აქ არ ჰყვავის, არა გვირილა და ია...
(რა ჰქნას ამ არეში ანიკომ და შალვამ,
როცა ყვავილებში უყვართ სამაია).
აქ დაინთო ბევრი სიყვარულის ცეცხლი,
ბევრიც გადაჰბუგა სიყვარულის ალმა;
დაიღვარა ბევრი აქ უმანკო ცრემლი,
ბევრიც სამუდამო სიკვდილს მიესალმა.
დადის სოსო, დადის, ვერ ისვენებს, ცმუტავს
ელის გულის ვარდსა, ჰკანკალებს და ტოკავს,
ცაზე ღრუბლებია მთვარე ოდნავ ბჟუტავს,
იქვე ჩნდება გულში და სიხარულს ბორკავს.
რა ვქნა რომ არ მოდის, შუა-ღამეა მგონი;
იქნებ მიმატოვა, დამივიწყა კიდეც!
ან დაწყევლილ ცოლმა მიგვიკვლია ფონი
და ღუღუნა მტრედი ხიფათს გადავკიდე!?
ჩუ! ვილაცა მოდის... სოსო დგება ცერზე...
იცნობს მისი სატრფო მოდის, მოგოგმანებს;
სანამ მიჯნურები ჩაეკვროდენ მკერდზე,—
არ დახანდა წამი ორივ რომ ერთმანეთს...
მაკოს მოსდის ცნობა:—ჩამოსულა იგი
და შენს ქმართან წუხელ გაატარა ღამე.
ამხედრდება მაკო... სადგურის წინ გადის.
ხან იქ დაჰქრის, ხან აქ, ჩუმათ ზვერავს მგზავრებს;
რა შეამჩნევს თვის მტერს, მივარდება შურით
და კულულა თმებში ხელებს წამოავლებს.
დაუკაწრავს სახეს, დაუკაწრავს პირსა,
და გაღეღილ მკერდზე სისხლი გადმოტკბორავს;
სატრფო სოსიკოსი,—ოჰ, მიშველეთ,—ჰყვირის...
ხალხი სიცილისგან აქეთ-იქით ჰგორავს.
— დაინახა სოსომ ეს შემთხვევა ავი:
დასწვა, გადაჰბუგა დამცირების ალმა...
ცხრა საჟენიან ჭაში გადაეშვა თავით,
გაჰქრა სამუდამოთ. სიკვდილს მიესალმა.

**ჩახუნდარიძე.**

# ბაქშიში

**(აზრი ნასესხების)**

სოსია წითელი ჯარიდან ახლად დაბრუნდა. იგი ღარიბი გლეხი იყო. ჯარში გაწვევამდეც მას გულში ჰქონდა ცოლად შეერთო ბობოლა გლეხის ივანე მეურმიშვილის ქალი პელო, მაგრამ იცოდა, რომ ქალის მამა ამაზე არ დასთანხმდებოდა, ქალი კიდევ მამის ხათრს ვერ გადავიდოდა.

ჯარიდან დაბრუნდა თუ არა, სოსიამ გადასწყვიტა როგორმე დაეთანხმებინა ივანე. შეუთვალა კიდეც, მაგრამ უარი მიიღო:—მე ცარიელ-ტარიელ ბიჭს ქალს არ მივათხოვებო.

ბოლოს სოსიამ ამ ხერხს მიმართა: ყოველ დღე კოოპერატივის ნოქარს ართმევდა ხან თითო, ხან სამ და ხან ხუთ ჩერვონეციანებს და ივანესთან ატანდა დასახურდავებლად.

— შენ გენაცვალე, სახლის მასალას ვყიდულობ და დამიხურდავეო, ან კიდევ სხვა რამეს შეუთვლიდა.

ივანეს უკვირდა სოსიას უცაბედი გამდიდრება და ფიქრობდა,—ალბად ჯარში ყოფნის დროს შეიძინა ცხოვრებაო.

სოსია ყოველ დღე თუ არა, ორ დღეში მაინც უგზავნიდა დასახურდავებელ ახალ-ახალ თუმნიანებს. ბოლოს, როცა დრო იხელთა, კიდევ შეუთვალა—ქალი მომათხოვეო.

როდესაც პელომ მამისაგან ეს ამბავი პირველად გაიგო, გულმა კინაღამ პირი გააღო სიხარულისაგან, რადგან მასაც მოსწონდა სოსია დიდი ხანია, როგორც კოხტა და მარჯვე ბიჭი.

ბოლოს ივანემაც იფიქრა: ეს კარგი ფულიანი სიძე ვიშოვე, ერთმანეთს მხარს მივცემთ და მთელს სოფელს ხელში ჩავიგდებთო.

მალე ნიშნობა გაიჩაღა, ქორწილიც ზედ მიაყოლეს. სოსიამ საქმე გაინაღდა თუ არა, სიმამრს თავის ნაეშმაკარი უამბო.

ივანეს ძალიან ეწყინა, მაგრამ რაღა იქნებოდა, გოგოჭიჭის ხელში იყო.

**მიტა.**

## „რეცეპტი“




— ექიმო, წავიკითხე შენი განცხადება და მიშველე რამე!
— ძლიერ ცუდათაა თქვენი საქმე: ნერვები გაქვთ აშლილი. თქვენ უნდა მიიღოთ კვირაში ერთხელ ჟურნალი „ტარტაროზი“. აი ეს არის ერთად-ერთი უებარი წამალი!

# ჰუმორული საუბარი

— ისწავლე შვილო, რატო არა სწავლობ?
— ვისწავლე, დედი, აკი ვისწავლე ეგ გაკვეთილი.
— ეგ ხომ ორშაბათისთვის გქონდათ მოცემული.
— ჰო და ორშაბათისთვის რო გვქონდა მოცემული, სწორედ ორშაბათს კაი ამინდი იყო და სასეირნოდ წავედით.
— სამშაბათს?
— სამშაბათსაც კარგი ამინდი იყო და რევოლიუციონური მუზეუმი დავათვალიერეთ.
— ოთხშაბათს?
— ოთხშაბათსაც კარგი ამინდი იყო და სტამბა დავათვალიერეთ.
— პარასკებს?
— პარასკევს ზაჰესში წავედით.
— შაბათსაც მშვენიერი დარი იყო და საპნის ქარხანა ვნახეთ.
— მაშ როდისღა სწავლობთ, შვილო, სკოლაში!
— აი ეხლა საახალწლოდ დაგვითხოვენ და შემდეგ რომ მივალთ კლასში, თუ კაი დარები არ იქნა, იქნება დაგვეწყოს სწავლა!

მოწაფე

# ვ ა ნ ი

შენი ჭირიმე ტარტაროზ,
ჭირიმე შენი ოქებისა
თუმც სტვირი გამიჯიუტდა
და კილო არ მექებისა,—
მაინც ვერ ვიშლი სიმღერას,
უმისოთ გული დნებისა,
გამიდის „პოლიტიკაცა“—
ამ სტვირის მოფერებისა.

იკითხავ რას იწყევლები!
მითხარი საქმე რაშია?!
—ეს ცოფიანი ძაღლები
ერთობ გამრავლდენ ვანშია.
ისე დარბიან წყეულნი,
შიშით ვერ გახვალ კარშია
ცხრაწლედის გამგე კინაღამ
გადაგვიხსნსლეს სახლშია.
ვანი ხომ დაიღუპვოდა,
ჩავცვივედებოდის წყალშია;
სად იშოვება დღეს გამგე
ქონდეს რაიმე თავშია
ქვეყნის ვარამზე ფიქრობდეს,
თეთრი ერთვოდეს თმაშია,
თუმც ის არავის არ უყვარს,
ეკლათ აქვს ყველას თვალშია;
„ძალით მაცხონეს“ მეთოდით
ჯერ ხელებს ურევს ფლავშია,—
მაინც ქე გვეწყინებოდა,
დაგვაკლდებოდა თვალშია,
ვექილი დაგვეკარგოდა
ნაქები წყნარ-ტკბილი ხმაშია,
„წითელი გმირი“-ს სახელი
დაინთქმებოდა ზღვაშია.

აგი რაა, ტარტაროზო,
საქმე არის უფრო რთული:
ცხრაწლედში ახლა აღმოჩნდა
„ძაღლის თავი“ დამარხული.
დღეს აღმოჩნდა ჩვენი გამგის
ქსელი „ჭკუით“ დახლართული
და გაება თვით შიგ კისრით,
ფართხალობს და უწუხს გული.
ბევრი არის მისი ენით
საქმით დამწვარ-დადაგული;
ის მოიმკო, რაც რომ ქონდა
მელურ ხრიკით ნათეს-რგული.
ტარტაროზო, ჯერ ბევრია
ამ ჩვენ ვანში ხულიგანი;
„ფირმათ“ წითლათ შეუღებავს
ზოგს ენა და ზოგსაც ტანი.
აქ მოგვპარეს კედლგაზეთი
გადის თვე და გადის ხანი;
ყურს არავინ არ იბერტყავს
შინაურ არც გარეგანი.

ვინ თამაშობს? ვინ გაბედა?
ვისი არის შავი ხელი?
ნუ თუ ველარ მოეფინოს
ამ სიბნელეს დღე ნათელი?!
ასეთია ტარტაროზო,
აქ ამბები დიდებული
თუმც ბევრი კბილს აკრაჭუნებს
და უსქდება ბევრსაც გული,—
მაგრამ მათი ბაქიობა
სტვირს გვერდზე აქვს მიგდებული
დღეისწორს კვლავ გზახლებით
სტვირ გადმოკიდებული.

ქვინტრაძე.



ქურდღელი: ამ ხეებს რა ენაღვლებათ—მაინც დასაწვავია; ხანძარს რომ არ დაეწვა, სულერთია: ჩუმად მოსჭრიდენ და ბუხარში დასწვავდენ; თავს უნდა ვუშველო... მაგრამ სად, როცა ყველგან ხანძარია!?!